პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისაკენ, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 5 მარტი, 1946 წ. № 47 (7520) ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

თესვისათვის მზადების გადამწყვეტი პერიოდი. მოწინავე (1-ლი გვერდი).
ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი კავამ-ეს-სალტანე. (1-ლი გვერდი).
ბრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. (1-ლი, მე-2 და მე-3 გვერდები).
მისალმებანი საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავის გამო (1-ლი გვერდი).
ღრმად შევისწავლოთ ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვა (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში. (1-ლი გვერდი).
შ. აბაიშვილი — სარეწაო კოოპერაციის მუშაკთა ღირსების საქმე. (მე-2 გვერდი).
ბ. ნატროშვილი. ქართული ბატალიონის აჯანყება. გაგრძელება. (მე-3 გვერდი).
მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში. (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები. (მე-4 გვერდი).

თესვისათვის მზადების გადამწყვეტი პერიოდი

საბჭოთა საქართველომ დიდი ზეიმით აღნიშნა თავისი სახელოვანი 25 წლისთავი. ამ ისტორიულ თარიღს მთელ ქართველ ხალხთან ერთად კოლმეურნე გლეხობა ახალი წარმატებებით შეხვდა. პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ, პირადად დიდმა **სტალინმა** მაღალი შეფასება მისცეს ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანთა შრომას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ისინი დაჯილდოებული არიან ორდენებითა და მედლებით.

დიდი სტალინის ისტორიული წინასაარჩევნო სიტყვით და მაღალი ჯილდოს მიღებით აღფრთოვანებული საქართველოს მშრომელები კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპებს, რათა ურყევად შეასრულონ ბელადის დავალება, მოიყვანონ წელს ყველა კულტურის უხვი მოსავალი, გამარჯვებულ საშობლოს მისცენ სოფლის მეურნეობის მეტი პროდუქტები და უზრუნველჰყონ მოსახლეობის მატერიალური დონის შემდგომი სწრაფი ამაღლება.

საკოლმეურნეო მინდვრებში უკვე აგუგუნდნენ ტრაქტორები. გაცხოველებით მიმდინარეობს ნიადაგის დამუშავება. მოხნულია 47.000 ჰექტარამდე მიწა. ამ საქმეში დაწინაურდა ბევრი რაიონი. 1 მარტისათვის ყარაიაში დავალება 83,4 პროცენტით შეასრულეს. ხვნა დიდი წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე თბილისის, კაჩრეთისა და წითელწყაროს რაიონებში. ენერგიულად მუშაობენ მტს-ები. მარტო წითელქალაქის მტს-მა წელს 1.202 ჰექტარი მოხნა, შირაქისამ — 970.

საგაზაფხულო თესვის ბოლშევიკურად ჩატარებას დამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უხვი მოსავლის მიღებისათვის. ეს კარგად იციან საქართველოს მოწინავე კოლმეურნეობებმა, რომლებმაც უკვე დასთესეს 5.756 ჰექტარი მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული, მზესუმზირა და მრავალწლიანი საკვები ბალახები. თუსვაში წინ არიან სიღნაღისა და თბილისის რაიონები. მათ დათესილი აქვთ ათასათასი ჰექტარი.

მაგრამ ყველგან არ ითვალისწინებენ, რომ თესვისათვის კარგად მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამის შედეგად ბევრგან ჩამორჩა როგორც ტრაქტორების, ისე მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტი და თესლის მომზადება.

მაგალითად, თელავის მტს-ში 24 ტრაქტორიდან 8 შეუკეთებელია. მოუმზადებელია აგრეთვე 11 გუთანი, 7 სათესი, 2 კულტივატორი. ტამიშის მტს-მა ტრაქტორების რემონტის გეგმა მხოლოდ სანახევროდ შეასრულა. ტრაქტორები, გუთნები, სათესები, კულტივატორები ბევრია შეუკეთებელი აგრეთვე სტალინირის, შინდისისა და ზოგიერთ სხვა მტს-ში.

პარტიის რაიონული კომიტეტები, რაისაბჭოს აღმასკომები, მწყანები ცალდებული იყვნენ დროულად შეემოწმებინათ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობა, ცალკეულ კოლმეურნეობათა მიხედვით დაესახათ და განეხორციელებინათ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მაგრამ ზოგან ამ დიდ საქმეს ზერელედ მოეკიდნენ, ამის შედეგად მთელი რიგი სამუშაოები დაუმთავრებელია.

წალკის, ბაშკიჩეთის, საგარეჯოს, ადიგენის, ცაგერის, ახალციხის, ქარელის, გორის და მთელ რიგ სხვა რაიონებში თესლის გასუფთავებაც არ დაუმთავრებიათ, მაშინ, როცა მარცვლეული კულტრების თესლის მომზადების ვადა დიდი ხანია ამოიწურა. წალკის რაიონის კოლმეურნეობებმა თავთავიანი კულტურების თესლი ისე „გასწმინდეს", რომ მხოლოდ 17,1 პროცენტია კონდიციური. ბაშკიჩეთის რაიონმა ხორბლეულის თესლის მხოლოდ 18 პროცენტი გაასუფთავა. შემოწმებამ უჩვენა, რომ მათ მიერ „გაწმენდილი" თესლიდან 60 პროცენტი უვარგისია. დასარეელიანებია და გაუწმენდაობის გამო ადიგენის რაიონში კონდიციურია თესლის მხოლოდ მეხუთედი, საგარეჯოს რაიონში—ორი მესამედი, ქარელისაში —ერთი მესამედი. მარტო გორის რაიონში აღრიცხულია 30-მდე ისეთი კოლმეურნეობა, რომლებსაც უკანასკნელ დრომდე თესლის გაწმენდა დაწყებულიც არ ჰქონდათ. ასეთივე მდგომარეობაა სტალინირის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

ზოგან თესლეულის გამოყოფაც არ არის დამთავრებული. აფხაზეთის ასსრ ესპუბლიკის კოლმეურნეობებში გამოყოფილი და მომზადებულია ლობიოს თესლის მხოლოდ 16 პროცენტი. თითქმის ასევე ჩამორჩნენ სოიის თესლის მომზადებაში. ადიგენის რაიონმა 810 ცენტნერი სიმინდის თესლიდან მხოლოდ 5,4 ცენტნერი მოამზადა.

საგაზაფხულო თესვის ბოლშევიკურად ჩატარების ამოცანა გვიკარნახებს, რომ მუშა პირუტყვი სხვა სამუშაოებზე არ იქნას გამოყენებული. ქარელისა და ხაშურის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში კი გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანილ დასუსტებულ ხარებსაც ხეღნიან. გარდა ამისა, არ იცავენ პირუტყვისათვის საკვების მიცემის წესს.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, მწყანებმა, მტსებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ ბოლშევიკურად ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა, უზრუნველჰყონ წელს ყველა კულტურის უხვი მოსავლის მიღება.

ი. ბ სტალინმა მიიღო ბ-ნი კავამ-ეს-სალტანე

4 მარტს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ გენერალისიმუსმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ირანის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი კავამ-ეს-სალტანე.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი და საბჭოთა კავშირის ელჩი ირანში ი. ვ. საღჩიკოვი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში

პოეტებისა და კომპოზიტორის დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მუშაობაში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჰიმნის შესაქმნელად

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტის ავტორებს—გ. გ. ალაშიძესა და ა. ბ. ალაშელს მიეცეთ ფულადი ჯილდო 60 ათასი მანეთის რაოდენობით.

2. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის მუსიკის ავტორს კომპოზიტორ ო. ვ. თაქთაქიშვილს მიეცეს ფულადი ჯილდო 50 ათასი მანეთის რაოდენობით.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში მოადგილეთა სხდომის კომუნიკე

ლონდონი, 28 თებერვალი. (საკდესი). 28 თებერვალს ლონდონში ლანკასტერ-ჰაუზში შედგა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში მოადგილეთა სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა შემდეგი კომუნიკე:

„შესაბამისად საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს იმ თათბირის გადწყვეტილებისა, რომელიც მოხდა სექტემბერში, მოადგილეებმა საგარეო საქმეთა მინისტრებს საბჭოში დაავალეს ექსპერტთა კომისიას მოამზადოს მოხსენება და რეკომენდაციები იტალიისა და იუგოსლავიას შორის საზღვრის დაწესების შესახებ; ეს საზღვარი ძირითადად იქნება ეთნიკური ხაზი, რომელიც მოსახლეობის მინიმუმს დასტოვებს უცხოელთა მართვა-გამგეობაში. თავიანი ამოცანის შესრულებისას ექსპერტთა კომისია მხედველობაში მიიღებს გამოსაკვლევი რაიონების არა მარტო ეთნიურ შემადგენლობას, არამედ მათს ეკონომიურ და გეოგრაფიულ თავისებურებებსაც.

მოადგილეებმა კომისიას დაავალეს შეისწავლოს ის დოკუმენტები საზღვრების შესახებ, რომლებიც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წარუდგინეს იუგოსლავიისა და იტალიის მთავრობებმა, აგრეთვე სხვა გაერთიანებული ერების მთავრობის მიერ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი იმ მიწევების შესაბამისად, რომელიც მათ გაუგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ.

მოადგილეებმა კომისიას დაავალეს აგრეთვე დაუყოვნებლივ გაემგზავროს იმ რაიონში, რომელზეც ლაპარაკია, რათა შეისწავლოს მოსახლეობის ეთნიური შემადგენლობა, აგრეთვე ამ რაიონის ეკონომიური და გეოგრაფიული თავისებურებანი.

ადგილობრივ გამოკვლევის დამთავრების შემდეგ კომისია დაბრუნდება ლონდონს, სადაც მოამზადებს საბოლოო მოხსენებას და რეკომენდაციებს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსათვის წარსადგენად".

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ორ სახალხო კომისარიატად—სსრ კავშირის სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატად და სსრ კავშირის აღმოსავლეთის რაიონების ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატად გაყოფის შესახებ

1. გაიყოს ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატი ორ საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატად:

სსრ კავშირის სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატად;

სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატად:

2. სსრ კავშირის სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შეტანილ იქნას კავკასიის, უკრაინისა და სსრ კავშირის ცენტრალური რაიონების ნავთის მოპოვების, გადამუშავებისა და ნავთის მრეწველობის მანქანათმშენებლობის საწარმოები და ორგანიზაციები.

3. სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შეტანილ იქნას ურალის, ვოლგის-პირეთის, შორეული აღმოსავლეთის, ყაზახეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთის ნავთის მოპოვების გადამუშავებისა და ნავთის მრეწველობის მანქანათმშენებლობის საწარმოები და ორგანიზაციები.

4. გადაეცეთ სსრ კავშირის სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატს და სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატს საწარმოები და ორგანიზაციები სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული სიის თანახმად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 4 მარტი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრად ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე **ბაიბაკოვი** სსრ კავშირის სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 4 მარტი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრად ამხ. მ. ა. ევსეევკოს დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ანდრიანეს-ძე **ევსეევკო** სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 4 მარტი.

მისალმებანი საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავის გამო

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ჩარკვიანს

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ბაქრაძეს

გულითადად გმადლობთ იმ ყურადღებისათვის, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავის დღესასწაულზე დასასურებად ჩემი მოწვევით გამოიჩინეთ. ვწუხვარ, რომ სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნის გამო ეს მოწვევა დაგვიანებით მივიღე და არ შემეძლო დროზე მეპასუხნა, აგრეთვე დავსურებოდი ქართველი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ამ შესანიშნავ დღესასწაულს.

გთხოვთ გადასცეთ მთელ ქართველ ხალხს ჩემი მგზნებარე სალამი და საუკეთესო სურვილები შემდგომი წარმატებისა მზიური საქართველოს—ჩვენი დიდი სამშობლოს ამ ძვირფასი მარგალიტის სამეურნეო, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის მარშალი
ფ. ტოლბუხინი

ამხანაგებს გ. თ. სეფერეულს, ვ. მ. ბაქრაძეს, კ. ნ. ჩარკვიანს

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის XXV წლისთავის დღეს გთხოვთ ჩემი მხურვალე მილოცვა შეუერთოთ იმ მრავალრიცხოვან მილოცვას, რომლებსაც დღეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია იღებენ ჩვენი დიდი საშობლოს ყველა კუთხიდან.

ასრულებდნენ რა დიდი სტალინის მითითებებს, განუხრელად ახორციელებდნენ რა ქართველი ხალხის საყვარელი შვილის, დიდი სტალინის მოწაფისა და თანამებრძოლის — ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას რჩევას, საბჭოთა საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ და ხალხმა თქვენი ხელმძღვანელობით სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის საქმეში, ძვირფასი წვლილი შეიტანეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების საქმეში.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარი
ვ. მერკულოვი

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს

მივესალმები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავს და გულწრფელად გისურვებთ დიდ წარმატებებს და მიღწევებს საეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში. ღრმად მწამს, რომ ქართველები და სომხები მტკიცედ და ურყევად დაიცავენ ძმობასა და მეგობრობას სტალინური ეროვნული პოლიტიკის დროშით საბჭოთა სამშობლოს სასახელოდ.

ყველა სომეხთა უმაღლესი პატრიარქ კათალიკოსი გეორგ V.

* * *

ვისურვებ კიდევ უფრო აყვავებულიყოს საქართველოს შესანიშნავი სოფლის მეურნეობა, რომელიც საქართველოს გადააქცევს ჩვენი სამშობლოს ნამდვილ მარგალიტად. საქართველოს ჰყავს სოფლის მეურნეობის მრავალი ჩინებული მუშაკი, რომლებიც აღზარდეს კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ და კოლმეურნეობებმა. სულითა და გულით ვუსურვებ მათ შემდგომ წარმატებას.

აკადემიკოსი ლისენკო

* * *

საქართველოსთან და მის დედაქალაქ თბილისთან მრავალი საუცხოო მოგონება მაკავშირებს, რომლებსაც არ დავივიწყებ მთელ ჩემს სიცოცხლეში. ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, არ შეიძლებოდა არ წარმოშობილიყო მშვენიერი თეატრი.

* * *

ვთხოვ „კომუნისტის" რედაქციას მხურვალე სალამი გადასცეს საქართველოს პოეტებსა და მწერლებს, ვუსურვებ მათ შემდგომს შემოქმედებითს წარმატებას.

სერაფიმოვიჩი

ღრმად შევისწავლოთ ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვა

გმირული შრომის შთამაგონებელი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიული კაბინეტი დიდი სტალინის წინასაარჩევნო სიტყვის შესწავლისათვის სერიოზულ მუშაობას ეწევა. აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და აგიტატორებისათვის სისტემატურად იმართება ლექციები, მოხსენებები, სემინარები.

ქარხნის მომხსენებელთა ჯგუფის წევრები საამქროებში გამოდიან მოხსენებებით. 13 თებერვალს სახალხო ვაგონების საამქროს მუშებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ამხ. გ. კაკაბაძისშვილის მოხსენება თემაზე: „საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა". მექანიკური საამქროს მუშებთან ამხ. ი. ბოლქვაძემ გააკეთა მოხსენება თემაზე: „საბჭოთა ხალხის სტალინური მეგობრობა". 26 თებერვალს ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის მოეწყო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორის ამხ. კალაძის ლექცია თემაზე: „საბჭოთა საქართველოს მრეწველობა 25 წლისთავზე".

ქარხნის პარტკაბინეტში ეწყობა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, რაც დიდ დახმარებას უწევს ბელადის სიტყვის შემსწავლელთ. გათვალისწინებულია მოეწყოს ლექციათა ციკლი ბელადის სიტყვის შემსწავლელთა დასახმარებლად.

ქარხნის ამწყობი, საქვაბე და სახალხო ვაგონების საამქროების წითელ კუთხეში გამოფენილია ბელადის სიტყვასთან დაკავშირებული ლიტერატურა.

დიდი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა ქარხნის საამქროთა პარტიული ორგანიზაციების კრებები ბელადის ისტორიულ სიტყვასთან დაკავშირებით. კრებებზე მიიღეს კონკრეტული ვალდებულებანი, რათა უზრუნველჰყონ ბელადის მიერ დასახული საპროგრამო ამოცანების განხორციელება.

ქარხნის აგიტატორები გულმოდგინე მუშაობას ეწევიან ამხანაგ სტალინის წინასაარჩევნო სიტყვის ახსნა-განმარტებისათვის. ამ საპატიო დავალებას კარგად ასრულებს სამსხმელო საამქროში 17 აგიტატორი. მათ დიდად ეხმარება საამქროს აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ი. იმერლიშვილი. აგიტატორმა სტახანოველმა მეყალიბემ გიორგი ლაგრაძემ ოთხი საუბარი ჩაატარა ბელადის წინასაარჩევნო სიტყვის შესახებ. საუბრის დროს მან ფართოდ გამოიყენა დამხმარე ლიტერატურა. ამხანაგ სტალინის სიტყვას იგი მოხდენილად უკავშირებს ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავების საქმეში ქარხნის წინაშე დასმულ ამოცანებს.

აგიტატორი პრაქტიკული საქმეებითაც რაზმავს მუშებს ახალი საწარმოო აღმავლობისათვის. ამხ. ლაგრაძე ყოველდღიურ დავალებას 300 და მეტი პროცენტით ასრულებს.

საქვაბე საამქროს მუშები ამხანაგ სტალინის სიტყვას საქმით უპასუხებენ. ლენინის ორდენოსანი მექვაბის გ. გეწაძის ბრიგადა, ბელადის სიტყვით აღფრთოვანებული, ნაკისრ ვალდებულებებს პირნათლად ანაღდება. ბრიგადა ყოველდღიურ დავალებას ერთიორად და ერთისამად ასრულებს. ასევე კარგი საწარმოო მაჩვენებლები აქვთ მექვაბე მ. აბუაშვილს, შემჯღუღებელ ა. პეტრეიმოვდლიშვილს და ლ. შავერდაშვილს. მრავალფეროვან და მიმზიდველ საუბრებს ატარებენ მექანიკური საამქროს აგიტატორი ორდენოსანი ხარატი მ. მამაგეიშვილი, ვ. ბერიანიძე (სამსხმელო საამქრო), დ. ლეჟავა (სამჭედლო საამქრო), ვ. მელიქოვი (საქვაბე საამქრო).

ბელადის ისტორიულმა სიტყვამ ქარხანაში დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

მ. ხანანაშვილი

მეჯი პროდუქცია, უკეთესი ხარისხი

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის აგიტატორები ამხანაგ სტალინის სიტყვის ფართო ახსნა-განმარტებას ეწევიან საამქროებში, აგრეგატებში, ცვლებში.

— დიდმა სტალინმა ამოცანად დაგვისახა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას საქონლის ფასების თანმიმდევრობითი შემცირების გზით. ახლა კიდევ უფრო გაიზარდა ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. უკეთესად უნდა ვიმუშაოთ, პროდუქციის რაოდენობა განუხრელად ვზარდოთ და თვითღირებულებაც შევამციროთ,—ამბობდა თავის ერთ-ერთ საუბარში მკერავი აგიტატორი ქეთო ურუტაძე.

აგიტატორმა თებერვლის გეგმის 150 პროცენტით შესრულება იკისრა და ვალდებულება კიდეც გაანაღდა—გეგმა 200 პროცენტით შეასრულა.

ბელადის სიტყვით აღფრთოვანებული და აგიტატორის მაგალითით წახალისებული მუშები გულმოდგინედ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

პირველ საამქროში აგიტატორი თ. ვაშაკიძე მიმზიდველად ატარებს საუბრებს. ბელადის სიტყვის გაცნობას მან რამდენიმე საუბარი მიუძღვნა. იგი მუშებს დაწვრილებით ელაპარაკება საამქროს გეგმაზე, გამოიყენა საწარმოო მაჩვენებელთა დიაგრამები, ილაპარაკა ახალ ამოცანებზე, იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს კონკრეტულად საამქრომ, აგრეგატმა და თვითეულმა მუშამ.

შრომითი აღმავლობა საამქროში დღითი დღე იზრდება. სტახანოველმა მკერავმა გალინა ჭელიძემ გეგმა 183 პროცენტით შეასრულა. ვალენტინა გეგეჭკორმა პირობა დასდო, რომ სამასოვანი გახდებოდა. ნამდვილად კი გეგმა 344 პროცენტით შეასრულა. მთლიანად საამქრომ თებერვლის გეგმა შეასრულა 142,8 პროცენტით.

პირველი საამქრო ომის დამთავრების პირველ დღეებშივე გადავიდა ფართო მოხმარების საგნების გამოშვებაზე. ამ ბოლო დროს საამქროს ორი ახალი აგრეგატი შეემატა. მარტო ეს აგრეგატები ყოველდღიურად ქალისა და ბავშვის 180 კაბას უშვებენ. პროდუქცია საუკეთესო ხარისხისაა. დღიური დავალები 125—137 პროცენტით სრულდება.

ფაბრიკაში დიდი შრომითი აღმავლობაა. შეწყობილად მუშაობს კოლექტივი. ბელადის სიტყვით აღფრთოვანებული მკერავები ყოველდღიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ.

ე. ხუნდაძე

ახალი საწარმოო აღმავლობა

ფოთი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვის შესასწავლად. მიმდინარე პოლიტიკისა და საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელმა წრეებმა ამხანაგ სტალინის სიტყვის შესწავლას რამდენიმე მეცადინეობა მიუძღვნეს.

ქალაქის პარტკაბინეტმა პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის მოაწყო ლექციები შემდეგ თემებზე: „საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება ყველაზე სიცოცხლისუნარიანი წყობილებაა", „ამხანაგი სტალინი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შესახებ" და სხვ.

რკინიგზის კვანძის მუშა-მოსამსახურეთა შორის პარტბიუროს მდივანმა ამხ. პ. ქარქაშაძემ რამდენჯერმე ჩატარა საუბარი ამხანაგ სტალინის სიტყვის შესახებ. ამას ახალი საწარმოო აღმავლობა მოჰყვა. სავაგონო დეპოს ზეინკალი ტ. გვასალია ახლა დღიურ ნორმებს 250 პროცენტით ასრულებს. გრ. ბაღათურიას კომკავშირული ცვლა უავარიოდ და უწუნოდ მუშაობს და დავალებას სისტემატურად ანაღდებს 150-200 პროცენტით.

საორთქლმავლო დეპოს მუშებს ამხანაგ სტალინის სიტყვას აგიტატორი ერ. კიკალეიშვილი განუმარტავს. დეპოელებმა ახალი ენერგიით კაჩაღეს მუშაობა. ლუნინელი მემანქანე ს. თარგამაძე ორთქლმავლის გარბენის სადღეღამისო დავალებას 140 პროცენტით ანაღდებს. მემანქანე უ. ჩხაიძე და მემანქანის თანაშემწე ვ. ბაბუნაშვილი საწვავი მასალის დიდ მომჭირნეობას ეწევიან და უავარიოდ დაჰყავთ ორთქლმავალი.

ვ. გუჯაბიძე

საბავშვო თეატრების ფესტივალი

ზაფხულის პირველ ნახევარში მოსკოვში ეწყობა იმ საბავშვო თეატრების საკავშირო ფესტივალი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ამას წინათ ჩატარებულ საკავშირო დათვალიერებაში. მოსკოველები ნახავენ ლენინგრადის, უზბეკეთის, საქართველოს მოზარდ მაყურებელთა თეატრების, ცენტრალური საბავშვო თეატრის, სტალინური პრემიის ლაურეატ ს. ობრაზცოვის ხელმძღვანელობით მოქმედი თოჯინების თეატრის სპექტაკლებს. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეების, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მეცნიერებების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ №№ 43, 44, 45, 46).

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

408. **ჭოლოკავა** დავით თომას-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილების გამგის მოადგილე

409. **ჩომახიძე** გიორგი მიხეილის-ძე—საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე

410. **ჭოხონელიძე** ილია ოქროპირის-ძე — ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის უფროსი ოსტატი

411. **ჩოჩია** ოლღა თეიმურაზის-ასული—აბაშის საშუალო სკოლის პედაგოგი

412. **ჩუბინიშვილი** გიორგი გიორგის-ძე — ტრესტ „თბილქალაქპროექტის“ ინჟინერი-დამპროექტებელი

413. **ჩუბინიძე** ვალერიან რაჟდენის-ძე — სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მთავარი ინჟინერი

414. **ჩხარტიშვილი** არჩილ ესტატეს-ძე—აჭარის საბელმწიფო დრამატიული თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი

415. **ჩხაიძე** გიორგი ისაკის-ძე—ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

416. **ჩხეიძე** მიხეილ გიორგის-ძე — საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის ჯგუფის უფროსი

417. **ჩხიკვაძე** მიხეილ არჩილის-ძე—საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე

418. **შალამბერიძე** საჩინო მიხეილის-ძე—ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ჰიდროელექტროსადგურის მე-2 რიგის მონტაჟის უფროსი

419. **შანიძე** გიორგი ვლადიმერის-ძე — ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი

420. **შარაშიძე** სიმონ გიგოს-ძე—საქთამბაქონედლეულის ტრესტის მეთამბაქოე აგრონომი

421. **შარაშიძე** შალვა ქიშვარდის-ძე — მშრომელთა დეპუტატების წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის მიწგანის უფროსი ზოოტექნიკოსი

422. **შარაშიძე** შუქრი ქემალის-ძე — აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

423. **შარაშენიძე** ელიზბარ ალექსის-ძე—თბილისის წყალსადენის ტრესტის მმართველი

424. **შახნაზაროვი** აშოტ კარაპეტის-ძე—საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭდვითი კომბინატის დირექტორი

425. **შვანგირაძე** ალექსანდრე თადეოზის-ძე—მშრომელთა დეპუტატების ქალაქ თბილისის მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე

426. **შეყლაშვილი** შალვა სპირიდონის-ძე—ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მთავარი ინჟინერი

427. **შეყრილაძე** ნადეჟდა გრიგოლის-ასული—კიროვის სახელობის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგროტექნიკოსი

428. **შელეგია** რემა ზაალის-ძე—ხალხური გუნდის ხელმძღვანელი

429. **შონია** გრიგოლ პავლეს-ძე—ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

430. **შოშიაშვილი** ნინო ილიას-ასული — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის № 1 ტყავის ქარხნის მუშა

431. **ებრალიძე** მირიან სილოვანის-ძე—ხრამჰესმშენის მესამე უბნის უფროსი

432. **ელერდაშვილი** სიმონ ისიდორეს-ძე—გეოლოგი, წყალპროექტის ტრესტის საძიებო პარტიის უფროსი

433. **ერისთავი** ელენე შალვას-ასული—საქართველოს სსრ მიწსახკომის გორის მეხილეობის სასელექციო-საცდელი სადგურის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში

434. **ერისთავი** ბესარიონ სარდიონის-ძე—ხრამჰესმშენის ტექნიკური განყოფილების უფროსი

435. **ეული** სანდრო ქიშვარდის-ძე—მწერალი

436. **იაკობაშვილი** ნიკოლოზ ზოსიმეს-ძე—საქეთერზეთის ტრესტის მმართველი

437. **იაკოვლევა** ლიდა გიორგის-ასული—საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაკი

438. **იამანიძე** გიორგი პორფილეს-ძე—საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭდვითი კომბინატის ტექნიკური დირექტორი

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **აბაკელია** ერმალოზ ლევანის-ძე—„საქეთერზეთის“ ტრესტის ბაბუშერის ეთერზეთოვანთა ქარხნის დირექტორი

2. **აბდულაევი** მაჰმედ მამედის-ძე — ბაშკიჩეთის რაიონის კოლმეურნეობა „ალ-ბაირაღის“ თავმჯდომარე

3. **აკიმენკო** ბორის ვლადიმერის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო განყოფილების ინსტრუქტორი

4. **ალიევი** ომარ ისა-ოღლი — ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „იგდამის“ თავმჯდომარე

5. **ამირანაშვილი** რაჟდენ ყარამანის-ძე — საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს მაიაკოვსკის საგზაო მშენებლობის უბნის სამუშაოთა მწარმოებელი

6. **ანანიევი** მიხეილ ნიკოლოზის-ძე — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობის უფროსი

7. **ასლიკიანი** ანდრიას არუთინის-ძე — ბორჩალოს რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

8. **ათანელაშვილი** გაბრიელ სიმონის-ძე — სპორტის ოსტატი

9. **ახობაძე** ლევან ნესტორის-ძე — კავშირგაბმულობის სამტრედიის რაიონული კანტორის უფროსი

10. **ბაბილუა** ვლადიმერ ილიას-ძე — დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირიჟორი

11. **ბაბუნიძე** ბესარიონ ილიას-ძე — თელავის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი

12. **ბაქრაძე** შალვა რომანის-ძე — მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივანი

13. **ბაკურაძე** ვლადიმერ ზაქარიას-ძე — ქვემო სვანეთის რაიონის კოლმეურნეობა „დიადი განთიადის“ თავმჯდომარე

14. **ბაკურაძე** ვლადიმერ როსტომის-ძე — მშრომელთა დეპუტატების ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

15. **ბაკურაძე** ერმალოზ როსტომის-ძე — გაგრის რაიონის სოფელ ლიძავის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

16. **ბასილაშვილი** დავით ზაქარიას-ძე — სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული წითელწყაროს რაიონში

17. **ბახტაძე** მათე სიმონის-ძე — საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის აგრონომი

18. **ბახუტაშვილი** ქეთევან ქაიხოსროს-ასული—თბილისის საქალაქთაშორისო სადგურის უფროსი ტელეფონისტი

19. **ბებურია** ნადეჟდა პავლეს-ასული — ხობის საშუალო სკოლის პედაგოგი

20. **ბედენაშვილი** გიორგი გიორგის-ძე — საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის ვეტერინარული სამმართველოს უფროსი

21. **ბერიძე** მირიან იპოლიტეს-ძე — ახალქალაქის რაიონის ჩოდრიშვილის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

22. **ბერიკაშვილი** გაბრიელ ივანეს-ძე — საქართველოს სამკერვალო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

23. **ბესტაევა** ანა შამელის-ასული — ზნაურის რაიონის ცაკის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე

24. **ბიწაძე** არკადი იასონის-ძე — წითელწყაროს მტს-ის დირექტორი

25. **ბოდოკია** ნინო მოსეს-ასული — ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის“ ბრიგადირი

26. **ბოჭორიშვილი** მარიამ პორფილეს-ასული — საქართველოს სს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 2 სამკერვალო ფაბრიკის მოტორისტი

27. **ბრეგვაძე** ამბროსი თეოდორეს-ძე — მთავარი საგზაო სამმართველოს № 2 საგზაო სამშენებლო უბნის უფროსი ჩოხატაურის რაიონში

28. **ბუაძე** ალექსანდრე დავითის-ძე—„თბილსათბობის“ ტრესტის მმართველი

29. **ბუქურაული** გიორგი კონსტანტინეს-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის მეცხოველეობის სამმართველოს უფროსი ზოოტექნიკოსი

30. **ბურჯანაძე** ვლადიმერ დომენტის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების სექტორის გამგე

31. **ვალიევი** ზაურბეკ ქუაზის-ძე — მშრომელთა დეპუტატების სტალინირის რაიონის ბელოთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

32. **ვარდია** მინადორა მელიტონის-ასული — ხობის რაიონის სოფელ ახალი ხიბულის კოლმეურნეობის კოლმეურნე

33. **ვარშანიძე** ხულუს ხუშუტის-ძე — ბათუმის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

34. **ვასაძე** შალვა გიგოს-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მახარაძის აბრეშუმსაწვევი ფაბრიკის დირექტორი

35. **ვეკუა** ნიკოლოზ გიორგის-ძე — სოხუმის პედინსტიტუტის გეოგრაფიული ფაკულტეტის დეკანი

36. **ვენაძე** გრიგოლ იობის-ძე — ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

37. **გაბელია** ვლადიმერ თეიმურაზის-ძე — ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

38. **გამყრელიძე** ალექსანდრე დიანოზის-ძე — საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის მევენახეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი

39. **გამყრელიძე** გალაქტიონ ერმალოზის-ძე — საქართველოს სს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის გამომჭრელი მუშა

40. **გვასალია** იპოლიტე მიხეილის-ძე — მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგე

41. **გვათუა** ლეონიდე სარდიონის-ძე — სამშენებლო ტრესტ „სოხუმმშენის“ მმართველი

42. **გვენეტაძე** მარგალიტა ნიკოლოზის-ასული—ქუთაისის რაიონის ჭოგნარის საშუალო სკოლის პედაგოგი

43. **გვერდწითელი** ივანე გაბრიელის-ძე — გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო ნაწილში

44. **გეგეშიძე** თეოდოსია პავლეს-ასული — სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

45. **გერსამია** იასონ ალექსანდრეს-ძე — სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის დირექტორი

46. **გიორგაძე** შალვა ვლადიმერის-ძე — ქუთაისის წყალთა რაიონის გამგე

47. **გიუნაშვილი** ზაქარია ნიკოლოზის-ძე — საგარეჯოს რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე

48. **ღლონტი** ელისაბედ ანტონის-ასული — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების ინსტრუქტორი

49. **გობრონიძე** აკაკი გრიგოლის-ძე — საქართველოს ალკკ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი

50. **გოგაძე** გაიანე ამბაკოს-ასული — ვანის რაიონის კოლმეურნეობის „გზა სოციალიზმისაკენ“ ბრიგადირი

51. **გოგილაშვილი** ნინო ილიას-ასული—სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის სართავ-სტრიკოტაჟო კომბინატის გადამხვევი

52. **გოგიშვილი** აკაკი ბესარიონის-ძე — საქართველოს სს რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის საამქროს უფროსი

53. **გოგია** სილობისტრო დავითის-ძე — საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მუშაკი

54. **ღოღობერიძე** იაკობ ასლანის-ძე—„საქკვებპროექტის“ ტრესტის მთავარი ინჟინერი

55. **გოგოლაშვილი** გიორგი გედევანის-ძე — მშრომელთა დეპუტატების დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის მიწგანის უფროსი ვეტექიმი

56. **გოგოლიშვილი** შოთა ილიკოს-ძე — ლომმანტრესტის კახაბრის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

57. **გოგუაძე** იოსებ რაჟდენის-ძე—მახარაძის მტს-ის ტრაქტორისტი

58. **გოკიელი** ელენე სტეფანეს-ასული — სპორტის ოსტატი

59. **გორგიაშვილი** მიხეილ ილარიონის-ძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

60. **გრიგოლია** ნიკოლოზ ვარლამის-ძე — კოლხიდმშენის სამუშაოთა მწარმოებელი

61. **გუნიაშვილი** ალექსანდრე ნასყიდას-ძე — საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის სტახანოველი ზეინკალი

62. **დავითულიანი** ვახტანგ კონსტანტინეს-ძე—საქართველოს ალკკ ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივანი

63. **დალაქიშვილი** არსენ ბაგრატის-ძე — ასურეთის მტს-ის კომბაინერი

64. **დანელია** მიხეილ პეტრეს-ძე — გეგეჭკორის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე

65. **დანელიანი** ბაბკენ მამიკონის-ძე — მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი

66. **დარჯანია** დავით ილიზბარის-ძე — ასურეთის მტს-ის უფროსი მექანიკოსი

67. **დარსალია** დავით ბაგირის-ძე — საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის უბნის აგრონომი

68. **დარჩია** დომენტი კონსტანტინეს-ძე — მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მექანიკური ქარხნის ზეინკალი — მემრუდთარგი

69. **დათუნაიშვილი** გიორგი მელიტონის-ძე—ლანჩხუთის რაიონის სოფელ ეწრის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი

70. **დაშტამიროვი** აჯი მანსურ-ოღლი — ყარაიის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

71. **დგებუაძე** ქუჩუ ანდრიას-ძე—„თბილქალაქპროექტის“ ტრესტის ინჟინერი—არქიტექტორი

72. **დემეტრაძე** პეტრე ივანეს-ძე — შამპანკომბინატის მთავარი მეღვინე

73. **ჯავშანაშვილი** ილია ნიკოლოზის-ძე — გურჯაანის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

74. **ჯაფარიძე** გიორგი კონსტანტინეს-ძე — საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებოსტნეობის კათედრის გამგე

75. **ჯანიაშვილი** ზაქარია ზურაბის-ძე — ბორჯომის რაიონის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

76. **ჯიბლაძე** ნიკოლოზ მელქისეს-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების პასუხისმგებელი ორგანიზატორი

77. **ჯიქია** იასონ იაგორის-ძე — მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამწვანების ტრესტის მმართველი

78. **ჯინჭარაძე** შალვა ესტატეს-ძე — საქართველოს სს რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სახალხო კომისარიატის თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის საინსტრუმენტო საამქროს უფროსი

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

სარეწაო კოოპერაციის მუშაკთა ღირსების საქმე

ხალხთა ბელადის დიდი სტალინის სიტყვამ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი აღაფრთოვანა. განსაკუთრებული სიამაყე ვიგრძენით იმის გამო, რომ ჩვენს დიად სამშობლოს, რომელსაც წინ მიუძღვის ლენინ-სტალინის უძლეველი პარტია, ისტორიაში უმაგალითო ომიდან გამარჯვებით გამოსვლის ასე მცირე ხნის შემდეგ შესაძლებლობა აქვს გადაჭრით გაუმჯობესოს მშრომელთა კეთილდღეობა. დიდი სტალინის სიტყვებმა —„უახლოეს დროში გაუქმებული იქნება საბარათო სისტემა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას ყველა საქონლის ფასების თანმიმდევრობითი შემცირების გზით“,—უსაზღვროდ გაახარა ყველა საბჭოთა ადამიანი.

ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების მკვეთრად გადიდებისათვის ზრუნვა ახლა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ თავის სიტყვაში თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს სთქვა:

„საქართველოში დიდი შესაძლებლობაა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების სერიოზული გაფართოებისათვის ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე, უმთავრესად ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ძალებით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის და ღირსია იმისა, რომ მას დიდი ყურადღება ეთმობოდეს“.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას ეს მითითება უაღრესად პასუხსაგებ ამოცანებს გვაკისრებს ჩვენ, სარეწაო კოოპერაციის მუშაკებს. ჩვენი არტელები და საწარმოები ქვეყანას 500-მდე სახელწოდების სხვადასხვა ფართო მოხმარების საქონელს აძლევენ. სარეწაო კოოპერაცია ხელმძღვანელობს ყოველგვარი სამშენებლო მასალის, კერამიკული ჭურჭლეულის, ლითონის ნაკეთობათა, ტყავეულის, საფეიქრო ნაწარმის, ტრიკოტაჟის, საგალანტერიო ნაწარმისა და მრავალი სხვა საქონლის გამოშვებას. სამამულო ომის პერიოდში სარეწაო კოოპერაციამ წითელ არმიას მიაწოდა რამდენიმე ას მილიონ მანეთად ღირებული 265 სახელწოდების პროდუქცია, გარდა ამისა, გამოუშვა 760 მილიონი მანეთის ფართო მოხმარების საქონელი.

მაგრამ ყველა ის დიდი შესაძლებლობა, რაც სარეწაო კოოპერაციას მოეპოვება ადგილობრივი ნედლეულისა და მრეწველობის ნარჩენებისაგან ფართო მოხმარების საქონლის გამოსაშვებად, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული. არადამაკმაყოფილებელია მუშაობა ნედლეულის საკუთარი ბაზების შესაქმნელად. ეს უმთავრესად აიხსნება სარეწაო კოოპერაციის ცალკე დარგების ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობით.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

სარეწაო კოოპერაციას აქვს ბამბის ძაფსართავი ფაბრიკა, რომელმაც 1946 წლის იანვრის გეგმა მხოლოდ 56,7 პროცენტით შეასრულა, მაშინ, როცა ბამბის ძაფსართავი ფაბრიკის ნედლეულით უზრუნველყოფისათვის არასოდეს არ ყოფილა ისე დიდი შესაძლებლობა, როგორც ამჟამად. რრგორც სჩანს, ფაბრიკის ხელმძღვანელებმა ეს შესაძლებლობანი სათანადოთ ვერ გამოიყენეს. იგივე უნდა ითქვას არტელ „მიღწევის“ (თავმჯდომარე ნ. კვალიაშვილი) შესახებ, რომელმაც იანვრის გეგმა მხოლოდ 50 პროცენტით შეასრულა. შესაძლებლობა კი ჰქონდა, რომ იანვარში გადაჭარბებით შეესრულებინა გეგმა, გამოეშვა მაღალხარისხოვანი სატრიკოტაჟო ქსოვილები. ასევე ვერ გამოიჩინეს საკმაო უნარი არტელ „უტილპრომკომბინატის“ (თავმჯდომარე ამხ. გარიბოვი), „მკერავთა გაერთიანების“ (თავმჯდომარე ი. კაციტაძე) და მთელი რიგი სხვა არტელების ხელმძღვანელებმა.

ცხადია, ჩვენს სისტემაში მრავალი მოწინავე საწარმოც არის. მაგალითად, ისეთმა რთულმა საწარმოებმა, როგორიც არის არტელი „ძაფ-ძაუდი“ (თავმჯდომარე გ. ფრუიძე), კვების კომბინატი (თავმჯდომარე ამხ. უნჯიევი), არტელი „პრომშერსტი“ (თავმჯდომარე ამხ. სირბილაძე) იანვრის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს, მაღალი ხარისხის პროდუქცია მოგვცეს, ასორტიმენტსაც ზუსტად იცავენ. თებერვალში ეს საწარმოები მეტი წარმატებით მუშაობდნენ.

სარეწაო კოოპერაციას ახლა მუშაობის გაძლიერების დიდი შესაძლებლობანი აქვს. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 22 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილება სარეწაო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ. სარეწაო კავშირის ნაცვლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ჩამოყალიბდა სარეწაო კოოპერაციის სამმართველო. ოთხი სადარგო სამმართველოს ნაცვლად შეიქმნა ექვსი სადარგო კოოპერატიული კავშირი. ამით გაუმჯობესდა საწარმოებისადმი ხელმძღვანელობა, შეიქმნა პირობები იმისათვის, რომ კოოპერატიულმა არტელებმა და საწარმოებმა უკეთესად იმუშაონ.

ამხანაგი ლავრენტი ბერია მიგვითითებს, რომ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებას სარეწაო კოოპერაციამ ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე უნდა მიაღწიოს. ჩვენი უპირველესი ამოცანაა ვიბრძოლოთ ამ მითითების შესასრულებლად, მივაღწიოთ ფართოდ ადგილობრივი ნედლეულის უფრო ფართოდ გამოყენებას.

რა აფერხებს ჩვენს მუშაობას?

პირველყოვლისა სათბობის, კერძოდ, ქვანახშირის სიმცირე. მაგრამ გვაქვს შესაძლებლობა მოვაწყოთ ქვანახშირის ამოღება ისეთ რაიონებში, სადაც მათი სამრეწველო ექსპლოატაცია არ სწარმოებს. ქვანახშირის ასეთ საბადოთა უბნები კი ჩვენს რესპუბლიკაში ბლომად მოიპოვება. ამ საქმის სახელმძღვანელოდ არის მოწოდებული სამშენებლო მასალათა კავშირი.

მოვიყვან მეორე მაგალითს.

საქართველო ძველთაგანვე ცნობილი იყო კერამიკით. კერამიკულ ნაწარმზე მოთხოვნილება უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგრამ ჩვენი სისტემა ამ მოთხოვნილებას სახეხვეროდაც ვერ აკმაყოფილებს. გადაწყვეტილი გვაქვს ეს ნაკლი გამოვასწოროთ. მაისიდან შევუდგებით არტელ „წითელი კერამიკის“ რეკონსტრუქციას და მის მოწყობას ისე, რომ მან შესძლოს მაღალხარისხოვანი, მხატვრულად გაფორმებული კერამიკული ჭურჭლეულის გამოშვება. ამასთან გადაწყვეტილი გვაქვს მოვაწყოთ კაფელის წარმოება და მასობრივად გამოვუშვათ კაფელის ღუმელები, რაზედაც მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა. კერამიკული ჭურჭლეულის წარმოება უნდა გავაფართოოთ წითელქალაქში, ბოდბისხევში, ამბროლაურში, ონსა და ლანჩხუთში. ზოგან, მაგალითად, წითელქალაქში გვინდა დავიწყოთ თიხის მილების მასობრივად გამოშვება. ასეთ მილებზე განსაკუთრებით დიდია მოთხოვნილება ქართლის კოლმეურნეობებში.

სარეწაო კოოპერაციის სამმართველომ უკვე დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა უახლოეს დროშივე უზრუნველყოფილ იქნეს ბავლეს-ძე ბერიას მითითებათა შესრულება. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა საშენ მასალათა წარმოების განვითარებას. უმოკლეს დროში აღვადგენთ კრამიტის ქარხნებს ყვარლის რაიონში, მცხეთაში, გავაფართოვებთ კრამიტის გამოშვებას აბრალაურში, ონში, სუფსაში, ჯურუყვეთში (ლანჩხუთის რაიონი), ითვალწყობთ მარმარილოს მოპოვებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მარმარილოს ქვის ნარჩენებისაგან დავამზადებთ სხვადასხვა ნივთებს (სამელნეებს, სამკაულებს, სკულპტურულ ფიგურებს).

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მრეწველობის ნარჩენების მიზანშეწონილად გამოყენებას. ამ მხრივ მისაბაძია კვების საწარმოო კომბინატის არტელი, რომელმაც დიმიტროვის სახელობის ქარხნიდან მიღებული ნარჩენებისაგან მრავალი ასორტიმენტის ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება აითვისა. მის მაგალითს წარმატებით მიბაძეს არტელებმა „წითელმა მღებავმა“ (სოფელი სუჯუნა) და „წითელმა მელითონემ“ (ქალაქი ცხაკაია).

უკვე პრაქტიკულად შევუდექით მუშაობას ლითონის ნაწარმთა ასორტიმენტის გასაფართოებლად. ლითონის ჯართით ჩვენი არტელები ახლა უზრუნველყოფილი არიან. ისინი იწყებენ დანა-ჩანგლის, კოვზების, ჭურჭლეულის, ბაღის დანების და მთელი რიგი სხვა ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებას.

შესამჩნევად ვაფართოებთ ხალიჩების, ფარდაგებისა და ხურჯინების ქსოვას ბაშკიჩეთში, ხუკრიანში, თიანეთში. განვაახლებთ ხონური შალის ქსოვას და სვანური, რაჭული, მეგრული, კახური ქუდების წარმოებას. წელს ვიწყებთ სარკეების, შუშის ჭურჭლის, ურმის საცხის, სხვადასხვა საღებავებისა და ტექნიკური ზეთების ფართო ასორტიმენტით გამოშვებას. ქიმიური მრეწველობის დარგს მიცემული აქვს დავალება ამთავითვე უზრუნველყოს შაბიამნის გამოშვების გეგმის შესრულება. მომავალში შაბიამნის გამოშვება ერთიორად უნდა გავაღიდოთ. ამისათვის სარეწაო კოოპერაციის სამმართველო თბილისში აშენებს შაბიამნის ქარხანას, რომელიც ტექნიკის უახლეს მიღწევათა მიხედვით იქნება მოწყობილი.

მრავალი სხვა ღონისძიების განხორციელებას შევუდექით იმისათვის, რომ მოკლე დროშივე შევასრულოთ ამხანაგ ბერიას მითითებანი, მივაღწიოთ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებას, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი და გავაფართოოთ ასორტიმენტი. მასობრივად ვიწყებთ საოჯახო ავეჯის—მაგიდების, სკამების, განჯინების, ჭადრაკის, შაშის, ჩემოდნების, შალნარევი ქსოვილებისა და აბრეშუმნარევი მაღალხარისხოვანი ქსოვილების გამოშვებას. არის მთელი ასორტიმენტი ისეთი საქონლისა, რომლის გამოშვებაც ჩვენში არ ხდებოდა. ამისათვის ჩამოვაყალიბეთ საკონსტრუქტორო კანტორა, რომელიც მოწოდებულია დაამუშაოს ასეთი საქონლის გამოშვების როგორც კონსტრუქტიული, ისე მეთოდოლოგიური საკითხები.

სარეწაო კოოპერაციის სისტემა მოწოდებულია მოსახლეობას გაუწიოს ყოფაცხოვრებითი მომსახურება (სამკერვალო, საოჯახო ნივთების სარემონტო, საპარიკმახერო). ამ მხრივაც დასახულია მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი.

სარეწაო კოოპერაციის მუშაკთა ღირსების საქმეა დაუღალავად იბრძოლონ ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად, პირნათლად შეასრულონ ქართველი ხალხის საამაყო შვილის, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მითითებანი, გამოუშვან მეტი, უკეთესი ხარისხის და მრავალფეროვანი ასორტიმენტის ფართო მოხმარების საქონელი.

შ. აბაიშვილი

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს უფროსი

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ, ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲙᲣᲚᲭᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ)

79. **ᲯᲝᲑᲐᲕᲐ** რომანოზ დანიელის-ძე — სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „რევოლუციის ნაპერწკალის“ თავმჯდომარე

80. **ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲔ** ალექსანდრე ივანეს-ძე — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი

81. **ᲯᲝᲮᲐᲫᲔ** პარმენ ქიტიას-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მუშაკი

82. **ᲫᲐᲒᲐᲜᲘᲐ** ვარლამ ბახვას-ძე—პოლიტსაგანმანათლებლო მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

83. **ᲫᲐᲒᲜᲘᲫᲔ** ალექსანდრე რომანოზის-ძე — ქობულეთის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

84. **ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ** კარპეზ იორდანეს-ძე—ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველი მუშა

85. **ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ** სერგი ეგნატეს-ძე—ტყიბულის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

86. **ᲓᲘᲓᲘᲛᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ** გაბრიელ მიხეილის-ძე—მშრომელთა დეპუტატების ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომის მიწგანის უფროსი ვეტექიმი

87. **ᲓᲝᲚᲑᲐᲘᲐ** გრიგოლ ანდრიას-ძე — მშრომელთა დეპუტატების გაგრის რაისაბჭოს აღმასკომის მიწგანის მთავარი აგრონომი

88. **ᲓᲝᲚᲘᲫᲔ** კარლო პლატონის-ძე—საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

89. **ᲣᲚᲔᲜᲢᲘ** მამია კონსტანტინეს-ძე—სპორტის ოსტატი

90. **ᲣᲚᲔᲜᲢᲘ** სერგი გიორგის-ძე—მშრომელთა დეპუტატების ქლუხორის რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე

91. **ᲖᲐᲘᲪᲐ** ევგენია ლუკას-ასული—თბილისის ტელეგრაფის ბოდისტი

92. **ᲖᲐᲭᲐᲠᲘᲐᲫᲔ** ვლადიმერ თეოდორეს-ძე — ქალაქ თბილისის სახელმწიფო სანინსპექტორი

93. **ᲖᲐᲠᲥᲣᲐ** ივანე სამსონის-ძე—მშრომელთა დეპუტატების გულრიფშის რაიონის ოქტომბრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

94. **ᲖᲐᲠᲥᲣᲐ** ლიდა სიმონის-ასული — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე

95. **ᲖᲐᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ** მოსე გიოს-ძე—ყვარლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე

96. **ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲔ** ნიკოლოზ ისიდორეს-ძე — ასპინძის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

97. **ᲖᲔᲘᲙᲐᲫᲔ** ივანე ზაქარიას-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის მუსიკალური ავეჯის კომბინატის მუშა—დურგალი

98. **ᲖᲣᲛᲑᲣᲚᲘᲫᲔ** ნიკოლოზ გიორგის-ძე — „ლიმმანტრესტის“ მახინჯაურის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

99. **ᲖᲣᲛᲑᲣᲠᲘᲫᲔ** შიო იოსების-ძე — ახალსოფლის მტს-ის ტრაქტორისტი

100. **ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** გიორგი დავითის-ძე—წნორი-მირზაანის გზის საგზაო ოსტატი

101. **ᲘᲕᲐᲜᲘᲜᲔᲚᲘ** მარიამ მათეს-ასული—საქართველოს სს რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველოს“ სტახანოველი

102. **ᲘᲛᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ნიკოლოზ შალვას-ძე—საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

103. **ᲘᲝᲡᲐᲕᲐ** ვლადიმერ ბესარიონის-ძე—ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორის მოადგილე

104. **ᲘᲠᲔᲛᲐᲫᲔ** იუსუფ ზექერიას-ძე—ხულოს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

105. **ᲙᲐᲓᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ** გიგა ილიას-ძე—ჯურჯაანის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური

106. **ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ** სერაპიონ რაჟდენის-ძე—საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილების სექტორის გამგე

107. **ᲙᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ** ვალერიან ირაკლის-ძე — საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის გამგე

108. **ᲙᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ** გიორგი ფარნაოზის-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების უფროსი ინსპექტორი

109. **ᲙᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ** თამარ იასონის-ასული — ბერიას სახელობის წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველი მუშა

110. **ᲙᲐᲮᲐᲫᲔ** გიორგი სამსონის-ძე—მშრომელთა დეპუტატების ქლუხორის რაისაბჭოს აღმასკომის მიწგანის უფროსი ზოოტექნიკოსი

111. **ᲙᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ანა ლაზარეს-ასული—კასპის რაიონის კოლმეურნეობა „მნათობის“ მერგოლური

112. **ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲔ** ლარისა მიხეილის-ასული — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების ინსტრუქტორი

113. **ᲙᲐᲭᲐᲠᲐᲕᲐ** ალექსანდრე კირილეს-ძე—წითელწყაროს რაიონის შირაქის მტს-ის დირექტორი

114. **ᲙᲐᲭᲐᲮᲘᲫᲔ** ვასილ ანდრონიკის-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის ვეტერინარული სამმართველოს მოძრავი ლაბორატორიის გამგე

115. **ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ** იასონ თადეოზის-ძე—ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგი

116. **ᲙᲕᲐᲠᲪᲮᲐᲕᲐ** აკაკი კონსტანტინეს-ძე—საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი

117. **ᲙᲕᲘᲜᲘᲙᲐᲫᲔ** აპოლონ თალხანის-ძე—ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი სხივის“ თავმჯდომარე

118. **ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲫᲔ** მევლუდ მურადის-ძე—ქედის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი დროშის“ თავმჯდომარე

119. **ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ** გრიგოლ ლეონტის-ძე — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის სასოფლო საექიმო უბნის გამგე

120. **ᲙᲔᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ივანე გიორგის-ძე — საგარეჯოს მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი

121. **ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ** პეტრე გაბრიელის-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანსახკომის სპეციალური სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს საავადმყოფოს დირექტორი

122. **ᲙᲘᲕᲘᲚᲐᲫᲔ** პეტრე ნიკოლოზის-ძე — გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

123. **ᲙᲘᲜᲬᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** სარდიონ ნიკოლოზის-ძე—წულუკიძის რაიაბრეშუმის გამგე

124. **ᲙᲝᲑᲐᲫᲔ** შალვა სოლომონის-ძე—ყაზბეგის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

125. **ᲙᲝᲑᲐᲚᲘᲐ** შალვა ანტონის-ძე — საქართველოს ალკკ წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი

126. **ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ** ტიმოთე გერასიმეს-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის მიწსახკომის ვეტერინარული სამმართველოს უფროსის მოადგილე

127. **ᲙᲝᲑᲣᲚᲘᲐ** გიორგი სამსონის-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის საპროექტო-საძიებო ტრესტ „წყალპროექტის“ მმართველი

128. **ᲙᲝᲙᲐᲘᲐ** ლევან ნესტორის-ძე — სამტრედიის რაიაბრეშუმის გამგე

129. **ᲙᲝᲥᲝᲨᲕᲘᲚᲘ** ივანე ხიტირის-ძე—ტრამვაისა და ტროლეიბუსების მეურნეობის თბილისის ტრესტის მრანდავი მუშა

130. **ᲙᲝᲞᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ტიტე კარპეზის-ძე—საქართველოს ალკკ სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი

131. **ᲙᲝᲠᲔᲚᲝᲕᲘ** გიორგი აბრამის-ძე—წალკის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

132. **ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** გიორგი სიმონის-ძე—ჩხარის რაიონის ღვანკითის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი

133. **ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ივანე სევერიანეს-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მუშაკი

134. **ᲥᲣᲛᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ვანო საბას-ძე—გურჯაანის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი

135. **ᲥᲣᲠᲓᲐᲫᲔ** ვასილ გიორგის-ძე—ამიერკავკასიის მეტალურგშენის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე

136. **ᲥᲣᲠᲓᲐᲫᲔ** მიხეილ ესტატეს-ძე—ხაშურის რაიონის ოქტომბრის 14 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

137. **ᲚᲐᲕᲐᲡᲐᲨᲘ** ქრისტეფორე ელეფთერის-ძე—ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

138. **ᲚᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ივანე ბაგრატის-ძე — კაჭრეთის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

139. **ᲚᲔᲑᲐᲜᲘᲫᲔ** ეკატერინე ლუკას-ასული—საქართველოს ალკკ ბერიას რაიკომის პირველი მდივანი

140. **ᲚᲔᲤᲡᲬᲕᲘᲠᲘᲫᲔ** ანდრია ექვთიმეს-ძე—ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ მეცხოველეობის ფერმის გამგე

141. **ᲚᲝᲛᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ისიდორე ივანეს-ძე—ლიმმანტრესტის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობა „ფსირცხის“ მთავარი აგრონომი და დირექტორის მოადგილე

142. **ᲚᲝᲛᲗᲐᲫᲔ** ალექსანდრე ბაგრატის-ძე—ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

143. **ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑᲝᲕᲘ** ივანე დავითის-ძე—ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საორთქლმავლო დეპოს პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი

144. **ᲚᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ** ზაქარია მიხეილის-ძე — თელავის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი

145. **ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ** პეტრე ლუკას-ძე—წულუკიძის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

146. **ᲐᲜᲐ-ᲮᲐᲜᲣᲛ** მამეტ-ყხა—საქართველოს სს რესპუბლიკის ბორჩალოს რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ მერგოლური

147. **ᲛᲐᲜᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ** სანდრო საბას-ძე—წითელწყაროს რაიონის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

148. **ᲛᲐᲗᲔᲨᲕᲘᲚᲘ** გიორგი თომას-ძე—საქართველოს ალკკ თელავის რაიკომის პირველი მდივანი

149. **ᲛᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ირაკლი ლავრენტის-ძე—საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დოცენტი

150. **ᲛᲐᲮᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ივანე ალექსანდრეს-ძე—თელავის რაიონის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

151. **ᲛᲐᲩᲐᲘᲫᲔ** ალექსანდრე სიმონის-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ლიქიორის ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელი

152. **ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** დავით თომას-ძე—ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს სტახანოველი ამწმენდი

153. **ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲐᲫᲔ** აბესალომ კონსტანტინეს-ძე—აგარის შაქრის ქარხნის უფროსი აგრონომი

154. **ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** მამია ამბერკის-ძე—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშა ახალგაზრდობაში მუშაობის განყოფილების გამგე

155. **ᲛᲔᲚᲘᲗᲐᲣᲠᲘ** ნიკოლოზ ონისიმეს-ძე—საქართველოს ზოოტექნიკური ვეტერინარული ინსტიტუტის დოცენტი

156. **ᲛᲔᲠᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** მალაქია ბესარიონის-ძე—ლაგოდეხის მტს-ის ტრაქტორისტი

157. **ᲛᲔᲡᲮᲘᲫᲔ** მამედ იბრაჰიმის-ძე—ბათუმის რაიონის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

158. **ᲛᲔᲣᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔ** რასულ სულეიმანის-ძე — ლიმმანტრესტის ალამბრის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

159. **ᲛᲖᲘᲙᲘᲐᲜᲘ** ხორენ გეორქის-ძე — ბოგდანოვკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი

160. **ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ზაქარია ილიას-ძე—არქიტექტორი

161. **ᲛᲘᲥᲐᲫᲔ** ივანე გრიგოლის-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატის უფროსი აგრონომი შაქრის ჭარხლის დარგში

162. **ᲛᲘᲗᲐᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ირაკლი არტემის-ძე—საქართველოს სს რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის გორის წყალთა რაიონის გამგე

163. **ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘᲫᲔ** რაისა შერმადინის-ასული—მახარაძის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური

164. **ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔ** გიორგი ივანეს-ძე—ხულოს რაიონის სოფელ სხალთის სასოფლო საექიმო უბნის გამგე.

165. **ᲛᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ეკატერინე გრიგოლის-ასული — დუშეთის საშუალო სკოლის დირექტორი

166. **ᲛᲣᲛᲚᲐᲫᲔ** გრიგოლ დავითის-ძე—ორჯონიკიძის რაიონის ბორითის საშუალო სკოლის დირექტორი

167. **ᲛᲮᲔᲘᲫᲔ** ახმედ ხუსეინის-ძე—ბათუმის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

168. **ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ** პაშა ვასილის-ასული — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილების სექტორის გამგე

169. **ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** გიორგი ივანეს-ძე — სიღნაღის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგე

170. **ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲐᲫᲔ** მინაგო იოსების-ძე—ამიერკავკასიის რკინიგზის შორაპნის დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორის მტვირთავების სამუშაოთა მწარმოებელი

171. **ᲜᲐᲚᲑᲐᲜᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ** ელენე ანტონის-ასული—საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაკი

172. **ᲜᲐᲛᲘᲩᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ნიკოლოზ ტარასის-ძე — მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაისაბჭოს აღმასკომის მიწგანის ზოოტექნიკოსი

173. **ᲜᲐᲛᲩᲔᲜᲙᲝ** მიხეილ პეტრეს-ძე — საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის აგრონომი

174. **ᲜᲐᲠᲘᲜᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ** ანეტა გიორგის-ასული — ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური

175. **ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ივანე მათეს-ძე—საქართველოს სახელგამის ფოტო-ცინკოგრაფიის დირექტორი

176. **ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ლევან ზაქარიას-ძე—სამტრესტის ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის უბნის აგრონომი

177. **ᲜᲔᲑᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** გიორგი ივანეს-ძე—მშრომელთა დეპუტატების გურჯაანის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

178. **ᲜᲝᲩᲐᲫᲔ** აკაკი ანტონის-ძე—მშრომელთა დეპუტატების გორის რაისაბჭოს აღმასკომის მიწგანის უფროსი აგრონომი

179. **ᲜᲝᲩᲐᲫᲔ** ბარბალე ალექსის-ასული — ხაშურის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური

180. **ᲝᲡᲘᲫᲔ** მამია ბართლომეს-ძე—აჭარის ასსრ რესპუბლიკის ხულოს რაიონის დარჩიძეების არასრული საშუალო სკოლის დირექტორი

181. **ᲝᲢᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** კეკო ალექსის-ასული—გურჯაანის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი

182. **ᲠᲐᲭᲡᲐᲫᲔ** ბაირამ ხუსეინის-ძე—ხულოს რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

183. **ᲠᲐᲭᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ** მარიამ მინას-ასული — ბათუმის რუსული საშუალო სკოლის პედაგოგი

184. **ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ჰაიდერ ხასანის-ძე—მშრომელთა დეპუტატების ქობულეთის რაიონის ხალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

185. **ᲠᲐᲜᲘᲣᲙᲝᲕᲘ** ვიქტორ პორფილეს-ძე—სსრ კავშირის სპორტის ოსტატი

186. **ᲠᲐᲠᲘᲙᲘᲐᲜᲘ** ზაკეოზ მამიკონის-ძე — ახალციხის რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

187. **ᲠᲐᲠᲠᲐᲚᲘᲐ** ლიდა ბაძუს-ასული—გალის რაიონის ლენინის სახელობის ციტრუსოვანთა კოლმეურნეობის კოლმეურნე მყნობელი

(ᲑᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ).

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ ☆

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲗᲚᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲩᲝᲜᲒᲣᲠᲘ

საღამო ხანზე ლოლაძე თავის ოთახში ისვენებდა, როცა კარი არტემიძემ შეაღო.

— შემოდი, — დაუძახა ლოლაძემ. არტემიძე შევიდა და ლოლაძის მახლობლად ჩამოჯდა.

— ამხანაგო კაპიტანო!—პირდაპირ დაიწყო მოსულმა, — საბრძოლველად ვემზადებით, ჩვენთან უნდა წამოხვიდე.

ლოლაძე გაოცებული უსმენდა, მერე წამოდგა, არტემიძის წინ გაჩერდა და სთქვა:

— მე შენ ვერ გიცნობ... არა, გიცნობ, როგორც ჯარისკაცს, მაგრამ რა საბუთი მაქვს რომ მართალს ამბობ, ვერ გენდობი! ვინა ხარ შენ, ვისი სახელით ლაპარაკობ!

— ბოლშევიკების სახელით, შვიდასორმოცდაათი ქართველის სახელით.

— შვიდასორმოცდაათის? — კვლავ გაიოცა ლოლაძემ—მაგრამ რა ვიცი, რომ შენ მართალს ამბობ? არა, ვერ გენდობი.

— შენ თვითონ მოხვალ ამხანაგო კაპიტანო ჩვენთან, თვითონ შეგვეხვეწები და ის დღეც გათენდება, როცა წინ წაგვიძღვები. ახლა კი ნახვამდის. და არტემიძე ოთახიდან გავიდა.

მესამე დღეს, პლაცზე შეხვედრისას, ლოლაძემ ევგენი დაინახა თუ არა, მიუახლოვდა და წასჩურჩულა:

— თანახმა ვარ.

— რის თანახმა. არაფერი მესმის, —თითქოს ვერ გაიგო არტემიძემ.

— კარგი ერთი, გეწყინა შე ღმერთძაღლო, აბა რა მექნა? არაფერი არ ვიცოდი და ძეხვით დამატყდა თავზე. ახლა ძეც, რაც ორიც იტყვიან, საქმის კურსში ვარ.

და კაპიტანი შალვა ლოლაძე ჩადგა საიდუმლო ბატალიონის სათავეში.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტის“ №№ 38, 39, 41).

მთელი ღამეებით იდგა ის ტოპოგრაფიულ რუკებთან, ამოწმებდა, ზომავდა, ანგარიშობდა, ასეულებს ადგენდა და მეთაურებს უნიშნავდა.

იმავე ხანებში არტემიძემ ბატალიონში პარტიული კომიტეტი ჩამოაყალიბა. კომიტეტში შედიოდნენ ევგენი არტემიძე, სერგო გუჯაბიძე, შალვა ლოლაძე, არკადი კილაძე, შალვა ნოზაძე, იაკიმე ჯანჯღავა და ნოე გონგლაძე. მერე ჩამოაყალიბა სამეული, რომელიც წინასწარ იხილავდა ყოველგვარ საკითხს, და რომლის არსებობაც თვით კომიტეტის წევრებმაც არ იცოდნენ. პარტიული კომიტეტის შვიდი წევრიდან თვითეული კაცი უკავშირდებოდა თითო ასმეთაურს, ასმეთაური—ოცმეთაურებს, ესენი თავის მხრივ ათმეთაურებს უკავშირდებოდნენ, რომელნიც უშუალოდ ამზადებდნენ ჯარისკაცებს. მთელი სისტემა უაღრესად კონსპირაციული იყო.

ასე იზრდებოდა აჯანყებულთა წრე. ქართველი ბიჭები სიხარულით ხვდებოდნენ ცნობას, რომ აქვე ბატალიონში არის ხალხი, რომელიც მათ მალე ისევ ბრძოლაში წაიყვანს. ასე, ჰოლანდიის დასავლეთ სანაპიროზე, ოცდათორმეტ კილომეტრზე განლაგებული იყო ორი ბატალიონი—ერთი მათგანი აღრიცხული იყო გერმანული შტაბის სიებში და ის უკვე აღარ არსებობდა, ხოლო მეორე—საიდუმლო ნომერი 822, შალვა ლოლაძისა და ევგენი არტემიძის ბატალიონი იყო, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ემზადებოდა.

ქართველები მოუთმენლად ელოდნენ აჯანყების დაწყების დღეს. სისტემატურად გამოდიოდა გაზეთი და პარტიული კომიტეტი ევგენი არტემიძის ხელმძღვანელობით უფრო ფართოდ შლიდა თავის მუშაობას.

გარეგნულად კი თითქოს არაფერი შეცვლილა. ისევ ჩვეულებრივ ცხოვრობდნენ ქართველები, ისევ ოცნებობდნენ სამშობლოზე და ამ ფიქრით ყველა ერთნაირად იყო გამსჭვალული წიგნიერიცა და უწიგნოც, გლეხიცა და ინტელიგენტიც.

და აი ერთ კვირა ღამეს სოფლელმა ბიჭებმა არ დაიძინეს. მთელი ღამე რაღაცას აკეთებდნენ ისეთი ხალისით, ისეთი ერიამულით, თითქოს რაღაც ძალზე სასიხარულო ამბავი გაიგესო. დილით ისინი ქალაქის ქუჩებში ქართულად ამოქნილი ახალი ქალამნებით გამოვიდნენ. დადიოდნენ და წამდაუწუმ თავის ქალამნებზე იცქირებოდნენ.

ეს იყო საუცხოო მაგალითი იმისა, რასაც ლიტერატურაში ეწოდება სევდა სამშობლოსადმი. ჰოლანდიის დიდებულ ნავსადგურებსა და არხებს მათ შირაქისა და ტირიფონის ველები ერჩიათ, ჰარლემის საქვეყნოდ განთქმულ სუმბულებს უცქეროდნენ და კახეთის მინდვრებში, ნაჩხატებში მოსული ფურიძუძუს ყვავილები ენატრებოდათ. გოთური სტილის წითელ და ცისფერ სახლებს შესცქეროდნენ და ჩუქურთმიანი, აივნიანი ქართული სახლები აგონდებოდათ. არა, გულს არა ხვდებოდა ეს შორეული ჰოლანდია. ქართველი გლეხის ბიჭებს თავიანთი ბინა ერჩიათ, სადაც ოდესღაც ცეცხლაპირას ისხდნენ და ჩონგურზე შაირებს დასძახოდნენ. ის ღამეები ახლა სიზმარშიღა თუ მოეჩვენებოდათ. მერე ცანტფორდში ქართული ჩონგურებიც გამოთალეს და ღამით გვიანობამდე უსმენდნენ მისი სიმების ტკბილ წკრიალს. მე მინდა ზოგიერთი შაირი მოვიყვანო, რომელიც ჰოლანდიაში გამოთქვეს ქართველებმა. აი „წერილი დედას“:

„მინდა წერილი მოგწერო
ჩემო ძვირფასო დედაო,
მეოთხე წელი სრულდება,
რაც თვალთ ვერა მხედაო,
ვიცი საწყალო თვალებზე
ცრემლები არა გშრებაო,
ტირი და ჰგლოვობ შენს შვილსა
თითქოს იმედიც წყდებაო.
—მე მარტო შენზე არ ვფიქრობ,
სამშობლო მენატრებაო,
გაქეღვიძება სიზმარში,
სხეული შემიკრთებაო.
ვერ ვნახავ ჩვენსა ტყე-მინდერებს,
ვერც ჩვენს ხარების რქებსაო,
ვერც მაძაჩემს და ჩემს ძმებსა,
ვერც ჩემს პატარა დებსაო,
ვერც სწორ-ამხანაგ ბიჭებსა,
იმ ძვირფას მეგობრებსაო.
მთთ გადიქარვებ დარდებსა,
თოფს რომ მოვკიდებ ხელსაო,
ავაკაკანებ ტყვიამფრქვევს,
მტერს გავუგმირავ გულსაო,
იმედს შავუთვლი საშობლოს,
მტრულად დავუხვდი მტერსაო.
მე დღეს ფრონტზე ვარ დედილო,
მხარში ვუდგევარ ძმებსაო,
მაგრამ იფიქრე, მოგანახავ
გვიან თუ არა დღესაო.“

მთქმელს—ვანო კაკიაშვილს არ ახსოვს ვისი გამოთქმულია ეს შაირი.

ამ შავტუხა ბიჭებს უკვე შეეჩვიენ, მათ ყოველ ნაბიჯზე იცნობდნენ და ამჩნევდნენ ჰოლანდიელები. როცა მათი რაზმეული ქუჩაში მიდიოდა და სამწყობრო სიმღერას ამბობდა—ბავშვები მტრედის გუნდებივით ესეოდნენ. ბავშვები მარტო მოტივს კი არა, სიმღერის სიტყვებსაც სწავლობდნენ და ჰარლემის, ცანტფორდბადის ქუჩებში ისმოდა სიმღერა:

„ატენის ხეობაზედა
წყალი ჩამოდის ტანაო,
დედამ რომ შვილი გაზარდოს,
ბელადო, შენისთანაო.“

ასე მღეროდნენ ჰოლანდიელი ბავშვები, ხოლო ქალიშვილებმა ქართული ასოების წერაც კი ისწავლეს.

ლექსებსაც სწერდნენ ბიჭები. ბარნაბ ლომიძე ამხნევებდა მეგობრებს:

„გული მუდამ მაგრად გქონდეთ,
და ძარღვებიც გაიშლება,
დაკეცილი ჩვენი დროშა
ისევ მალე გაიშლება.“

ცანტფორდბადშივე დასწერა მან ლექსი „ფიქრები ატლანტიის ოკეანის სანაპიროზე“. დარდისაგან გაშავებული ღრუბელო,—ამბობს ის ამ ლექსში,—საქართველოზე რომ გადივლი, უთხარი შენი შვილები ვნახეთქო, ფეხშიშველნი რომ წამოვიდეთ, ერთი მაინც ჩამოაღწევს და ჩვენს ამბავს ჩამოიტანსთქო.

ცრემლით სავსეა ეს ლექსი. და გინა მარტო ეს? მეორე მოლექსეც ასევე მოსთქვამს:

„ჩემი მაზარაც ძმებო-ჯან,
ცრემლებით დანამულია.“

ᲪᲐᲜᲢᲤᲝᲠᲓᲑᲐᲓᲘᲓᲐᲜ ᲢᲔᲥᲡᲔᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ქართველების ხმალი უკვე შემართული იყო მტრის თავზე, გერმანელები კი ბაიბურშიც არ იყვნენ. ჯერ ისევ ორმოცდაოთხი წლის აგვისტოში სთხოვეს ქართველებმა ჰოლანდიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს აჯანყების დაწყების ნება ძოგვეცითო. მათ ურჩიეს: „ცოტახანს კიდევ მოიცადეთო.“ ამ ლოდინში იყვნენ ქართველები, როცა უეცრად მთელი ბატალიონი კვლავ აჰყარეს და საათღაც გაგზავნეს. ეს იყო ორმოცდახუთი წლის ცხრა თებერვალს.

ჩრდილოეთის ზღვაში, ნიდერლანდების ნაპირების გასწვრივ ჯაჭვისებურად ჩამწკრივებულია დასავლეთ ფრისლანდიის კუნძულები—ტექსელი, ვლილანდი, ტერსპელინგი, ამელანდი, ბორკიუ

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

19 თებერვლის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 19 თებერვალი. (საკდესი). 19 თებერვლის დილის სხდომის გახსნისას ტრიბუნალის თავმჯდომარეს ლორდს ლოურენსმა გამოაცხადა გადაწყვეტილება დაცვის შუამდგომლობის შესახებ, რომ ტრიბუნალის სხდომებს შორის მოხდეს შესვენება.

— დაცვის შუამდგომლობა,—ამბობს თავმჯდომარე,—სასამართლო სხდომებს შორის შესვენების მოწყობის შესახებ არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას ტრიბუნალის მიერ. როცა გადაწყდა საკითხი სხდომების შეწყვეტის შესახებ საშობაო არდადეგების დროს, ტრიბუნალმა დაცვას აცნობა, რომ სხვა დროს სხდომები აღარ შესწყდებოდა. როგორც ხაზგასმით აღნიშნა ბრალდების წარმომადგენელმა, დაცვას უკვე ჰქონდა თავის განკარგულებაში რამდენიმე თვე, რომელთა განმავლობაშიც მას შეეძლო მომზადებულიყო თავისი მუშაობისათვის. დაცვა მუდამ ბრალდებობდა აგრეთვე ტრიბუნალისა და ბრალდების დახმარებით როგორც დამამტკიცებელი საბუთების გამოყენების მხრივ, ისე მოწმეთა გამოძახებისას.

ტრიბუნალმა გადასწყვიტა, რომ ბრალდების მიერ დამამტკიცებელი საბუთების წარდგენის დამთავრების შემდეგ განხილულ იქნება საკითხი ჯგუფების თუ ორგანიზაციების დანაშაულობის შესახებ, რის შემდეგ ტრიბუნალი განიხილავს შუამდგომლობას დოკუმენტების დართვისა და იმ ბრალდებულთა მიერ მოწმეთა გამოძახების შესახებ, რომელთა საქმის გამოც მოწმეებისა და დოკუმენტების თაობაზე ჯერ არ ყოფილა გამოტანილი გადაწყვეტილება. ეს საკითხი გაირჩევა სასამართლოს ღია სხდომაზე. ამ ხნის განმავლობაში დაცვას შეუძლია არ დაესწროს სასამართლოს სხდომებს და ემზადოს დაცვისათვის სასამართლო სხდომების დარბაზის გარეთ.

ამის შემდეგ საბჭოთა ბრალდების წარმომადგენელმა ამბ. სმირნოვმა განაგრძო დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა. მან ტრიბუნალს წარუდგინა აქტი, რომელიც შეიცავს ცნობებს სმოლენსკის ყოფილი რადიოსადგურის ტერიტორიაზე, ქალაქ სმოლენსკიდან ხუთ-ექვს კილომეტრზე გვამების ექსჰუმირებისა და სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის შედეგების შესახებ.

ფაშისტები, — ამბობს ბრალმდებელი, — თავიანთ მხედრებთან სიკვდილის წინ ფენა-ფენად აწყობდნენ — ერთ ფენას მეორეზე და ისე ხვრეტდნენ.

ეს მეთოდი ჰიტლერელების მიერ ფართოდ იყო გავრცელებული უდანაშაულო ადამიანების მასობრივი ღახოცვის დროს. ამასთან დაკავშირებით ბრალმდებელს მოჰყავს ადგილი საბჭოთა კავშირ-პოლონეთის კომუნიკედან, რომელიც ეხება მაიდანეკის საკონცენტრაციო ბანაკში ჩადენილ დახვრეტებს. ამ დოკუმენტში ნათქვამია: „1943 წლის 3 ნოემბერს ბანაკში დახვრიტეს 18.400 კაცი. თვითონ ბანაკიდან წაიყვანეს 8.400 კაცი და 10 ათასი კაცი მირეკეს ქალაქიდან და სხვა ბანაკებიდან. დახვრეტა დაიწყეს დილიდან და დაამთავრეს გვიან საღამოს. სს-ელებს ტანგაზდილი ადამიანები 50 და 100 კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად მიჰყავდათ თხრილებთან, აწყობდნენ მათ თხრილების ფსკერზე პირდაპირ და ხვრეტდნენ ავტომატებით. გვამებზე აწყობდნენ ცოცხალი ადამიანების ახალ პარტიას, რომელთაც ჯერეთვე ხვრეტდნენ და ასე განაგრძობდნენ, სანამ თხრილი არ ამოივსებოდა“.

1943 წლიდან დაწყებული, ჰიტლერელი დამნაშავენი ცდილობენ ყოველი ღონე იხმარონ თავიანთ დანაშაულობათა კვალის დასაფარავად. კერძოდ, იწყებენ გვამების დაწვას. დოკუმენტალურად არის დამტკიცებული, რომ ჰიტლერელები თავიანთ მსხვერპლთ ჯერ დამზადებინებდნენ შიასა და ძელებს. შემდეგ ამ ძელებზე აწვენდნენ მათ. ამის შემდეგ ადამიანთა პირველ ფენას ხვრეტდნენ. დასახვრეტთა შემდეგ პარტიას კვლავ მოჰქონდა ძელები, აწყობდა მათ მოკლულთა პირველ რიგზე და ამ ძელებზე უნდა გაწოლილიყო დასახვრეტად.

ბრალმდებელი სასამართლოს უდგენს ოსვენციმის ბანაკში გადაღებული სურათების ალბომს, რომლებზეც გადაღებულია ჰიტლერელების მიერ მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობის მოსპობის ეს ბარბაროსული ხერხი.

ესტონეთის სს რესპუბლიკაში კლოგის ბანაკის ლიკვიდაციის დროს 1944 წლის 19 სექტემბერს ფაშისტებმა დახვრეტით და კოცონებზე დაწვის გზით მოსპეს ამ ბანაკში მყოფი პატიმრები.

ტრიბუნალისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ ქალაქ მინსკში ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ საგანგებო სახელმწიფო კომისიის მასალების წარდგენისას ბრალმდებელს მოჰყავს ციტატები ჩვენებებიდან მაღი ტროსტინცის მახლობლად დაპატიმრებულთა დახვრეტის თაობაზე.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ ამ სოფლის მახლობლად აღმოაჩინა გვამები ცეცხლმსროლელი იარაღით თავსა და კისერში მიყენებული ჭრილობებით. ფარდულში და ძელების შტაბელებზე გერმანელებმა ამ ადგილას დახვრიტეს და დაწვეს 65 ათასი კაცი.

შემდეგ ბრალმდებელი ტრიბუნალს უდგენს დამამტკიცებელ საბუთებს ჰიტლერელების მიერ მასობრივი დახვრეტისათვის სპეციალური პუნქტების შექმნის შესახებ, სადაც მოსპობილთა რაოდენობა ასეთასობით ათვლებოდა და სადაც მოსასპობად განკუთვნილი ადამიანები მოჰყავდათ არა მარტო ამ ადგილის რაიონებიდან, არამედ ევროპის მთელი რიგი ქვეყნებიდანაც. ასეთი პუნქტები, კერძოდ, იყო პანერეი (პანარი) რვა კილომეტრზე ვილნიუსიდან და ფორტი № 9 ანუ „სიკვდილის ფორტი“ კაუნასში. უკანდახევისას ჰიტლერელები სპობდნენ თავიანთ დანაშაულობათა კვალს და სწვავდნენ გვამებს მასობრივი დახვრეტის ადგილებში, ბაგრამ ხშირად ამას ვერ ასწრებდნენ. როგორც მოწმე ზაიდელის ჩვენებიდან გამომდინარეობს, რომელმაც თავისი ჩვენება მისცა საგანგებო სახელმწიფო კომისიას, 1943 წლის დეკემბრიდან, როდესაც ჰიტლერელებმა იწყეს გვამების დაწვა დაბა პანარის რაიონში, 1944 წლის ივნისამდე ცხრა ორმოში ამოთხარეს და კოცონებზე დასწვეს სულ მცირე 100 ათასი გვამი.

უკანასკნელ ლიტვაში უკანდახევის წინ ჰიტლერელები ვერ ასწრებდნენ გვამების დაწვას.

— № 9 ფორტს,—ამბობს ბრალმდებელი, — კაუნასის მცხოვრებლებმა „სიკვდილის ფორტი“ უწოდეს. ფორტი მდებარეობს 6 კილომეტრზე ქალაქ კაუნასის ჩრდილო-დასავლეთით.

კაუნასში თავიანთი შემოჭრის პირველსავე დღეებში ჰიტლერელებმა № 9 ფორტში მორეკეს ათასამდე საბჭოთა სამხედრო ტყვე და ორმოები გაათხრევინეს ხუთზე მეტ ჰექტარ ფართობზე. ყველა, ვინც № 9 ფორტში მოხვდებოდა, ცოცხალი აღარ რჩებოდა. ჰიტლერელები რამდენიმე ათასი კაცისაგან შემდგარ კოლონებად აქ დასახვრეტად და დასაწვავად მოერეკებოდნენ ქალებს, ბავშვებს, მოზარდებს, მამაკაცებსა და მოხუცებს. აქ დახვრეტილ იქნენ სულ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები.

საბჭოთა ადამიანებს გარდა, ჰიტლერელები № 9 ფორტში ხოცავდნენ საფრანგეთიდან, ავსტრიიდან და ჩეხოსლოვაკიიდან მოყვანილ მოქალაქეებს.

გერმანელ ფაშისტთა ბოროტმოქმედების გამომკვლევმა საგანგებო სახელმწიფო კომისიამ გამოარკვია, რომ ჰიტლერელებმა № 9 ფორტში 70 ათასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები დახოცეს.

მთელ რიგ შემთხვევებში საბჭოთა კავშირის მშვიდობიან მცხოვრებთა მასობრივი დახოცვისათვის გერმანელი ფაშისტები მიმართავდნენ ვერაგულ საშუალებებს. მაგალითად, ქალაქ გორგიევსკში, გერმანიის ლაზარეთების უფროსის შეფ—ექიმ ბარონ ფონ ჰაიმანის ბრძანებით, საბჭოთა ადამიანების მოწამლვის მიზნით, გერმანელი ჯარისკაცები ქალაქის ბაზარში ჰყიდნდნენ სპირტსა და სასმელ სოდას. სპირტი აღმოჩნდა მეთილის სპირტი, ხოლო სოდა—მჟაუნას მჟავა. მოხდა ქალაქის მცხოვრებთა მასობრივი მოწამლვა.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე გერმანელ ფაშისტთა მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შორის,—განაგრძობს ბდალმდებელი, — განსაკუთრებული ადგილი უკავია ტერორს, რომელსაც ჰიტლერელები ახორციელებდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ლენინგრადის ალყის დროს. გერმანელ ფაშისტთა ბოროტმოქმედების გამომკვლევმა ლენინგრადის საქალაქო კომისიამ გამოარკვია, რომ ლენინგრადის 900 დღის უმაგალითო დაცვის დროს გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა აუიანალეი ბოროტმოქმედება და მზეცობა ჩაიდინეს მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. გერმანელებმა ლენინგრადში ჩამოჰყარეს 107 ათასი ფუგასური და ავიაბომბები, ქალაქს ესროლეს მძიმე არტილერიის 150 ათასი ყუმბარა. დაბომბვებისა და არტილერიის დაშენის შედეგად მოკლულ იქნა 16.747 კაცი და დაიჭრა 33.782 კაცი. უდიდესი მსხვერპლი გამოიწვია შომშილობამ ლენინგრადის ბლოკადის დროს.

შემდეგ ბრალმდებელი ადგენს დამამტკიცებელ საბუთებს, რომლებიც დაკავშირებული არიან გერმანელ ფაშისტ დამნაშავეთა მიერ სპეციალური მანქანების, ეგრეთწოდებული „დუშეგუბკების“ ანუ „გაზვაგენების“ გამოყენებასთან გადამუშავებული გაზით ადამიანების დასახოცავად. ბრალმდებელს მოჰყავს „დუშეგუბკების“ დაწვრილებითი აღწერა და დოკუმენტების საფუძველზე ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში ფაშისტებმა „დუშეგუბკებში“ დიდძალი უდანაშაულო ხალხი დახოცეს.

ჰიტლერელი დამპყრობლები საბჭოთა მოსახლეობას და ოკუპირებული სხვა ქვეყნების მოსახლეობას ხოცავდნენ მშვიდობიანი მოსახლეობისათვის მოწყობილ საკონცენტრაციო ბანაკებში. ოსვენციმი და მაიდანეკი, ტრემბლინკა და ბანერსკის ბანაკი იყვნენ კომბინატები, სადაც გერმანელებმა სხვადასხვა ეროვნების მრავალი მილიონი ადამიანი გაჟლიტეს. რადგან ჰიტლერელებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მძიმე ზარალი მოსდიოდათ, მათ მიმართეს კიდევ უფრო მკაცრ საშუალებებს მშვიდობიანი მოსახლეობის გასაჟლეტად. ბელორუსიაში მათ შეაქმნეს ბანაკები უკვე არა მარტო პატიმართა მოსასპობად, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მშვიდობიან მოსახლეობაში და შემტევი წოთელი არმიის რიგებში უაღრესად მძიმე ინფექციების გასავრცელებლად. ბრალმდებელი ტრიბუნალს უდგენს საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობას ჰიტლერელების მიერ პარტახტიანი ტიფის გავრცელების გზით საბჭოთა ადამიანების მოსპობის შესახებ. პარტახტიანი ტიფის გასავრცელებლად გერმანელებმა ბელორუსიის ოკუპირებულ რაიონებში შეაქმნეს სპეციალური საკონცენტრაციო ბანაკების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებშიც დაპატიმრებული იყო ათიათასობით ადამიანი. ამ ბანაკებში გერმანელებს სხვა რაიონებიდან მოჰყავდათ პარტახტიანი ტიფით დაავადებულნი და ჯანმრთელთა შორის ათავსებდნენ. ტიფის ეპიდემია მუსრავდა მამაკაცებსა და ქალებს, მოხუცებსა და ახალგაზრდებს.

ბრალმდებელს მოჰყავს აგრეთვე ამონაწერები იუგოსლავიის მთავრობის მოხსენებიდან საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ. მაგალითად, 1941 წელს გერმანელმა საოკუპაციო ხელისუფლებამ ბელგრადის მახლობლად მოაწყვეს საკონცენტრაციო ბანაკი ბანიცა. იუგოსლავიის სახელმწიფო კომისიამ გამოარკვია, რომ ამ ბანაკის არსებობის განმავლობაში გერმანელებმა იქ 70 ათასამდე კაცი გაჟლიტეს. ადამიანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მოსპეს მათ უფრო გვიან შექმნილ ბანაკებში.

ლიტვის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გერმანელები ჰქმნიდნენ სპეციალურ საკონცენტრაციო ბანაკებს წოთელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის. ამ ბანაკებში გერმანელ ხელისუფალთა მიმართ მარტო უკმაყოფილების გამოთქმისა და საბანაკო რეჟიმის დარღვევებისათვის საბჭოთა ადამიანებს გაუსამართლებლად ხვრეტდნენ, საპყრობილეში ჰყრიდნენ ან გერმანიაში ჰგზავნიდნენ საკატორღო სამუშაოზე.

გერმანელები არანაკლებ მკაცრად ეპყრობოდნენ აგრეთვე პატიმრებს იმ საკონცენტრაციო ბანაკებში, რომლებიც მათ ლატვიასა და ესტონეთში შეაქმნეს.

საკონცენტრაციო ბანაკებში ადამიანთა მოსასპობად კონსტრუირებულ იქნა სპეციალური მანქანები. ამ მანქანებს ჰიტლერელ ავაზაკებს აწვდიდა გერმანელ მრეწველთა საკმაოდ ფართო წრე. მაგალითად, ფირმა „პოპეი და შეილები“ ერფურტში აშენებდა კრემატორიუმებს და გაზის კამერებს ოსვენციმის ბანაკისათვის. ფირმა „დიდი“ ამზადებდა კრემატორიუმებს იუგოსლავიის საკონცენტრაციო ბანაკებისათვის. ბრალმდებელმა სმირნოვმა ტრიბუნალს წარუდგინა ამ ფირმების მიწერ-მოწერა შემკვეთებთან — სს მეთაურებთან. ფირმა „კორი“, რომელიც თავის სამსახურს სთავაზობდა ბელგრადის მახლობლად არსებულ საკონცენტრაციო ბანაკში საკრემაციო ღუმელების მშენებლობისათვის, აღნიშნავდა, რომ მან უკვე ააგო 4 ღუმელი დახაუსათვის და 5 ღუმელი ლიუბლიანისათვის, და ამასთან ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისმა „გაუმჯობესებულმა ღუმელებმა პრაქტიკაში საუკეთესოდ გაამართლეს თავისი დანიშნულება“.

სტაციონარული კრემატორიუმების დამატებად გერმანელმა კონსტრუქტორებმა გამოიგონეს მოძრავი კრემატორიუმები. კერძოდ, როგორც სს-ელმა პაულ ბალდმანმა აჩვენა, მოძრავ კრემატორიუმებს იყენებდნენ რუსი სამხედრო ტყვეების მოსასპობად საქსენჰაუზენში.

ბრალმდებელი ტრიბუნალს აყურადღებას მიაქცევს ერთ-ერთ ყველაზე უფრო საზიზღარ ბოროტმოქმედებას, რასაც გერმანელი ფაშისტი დამნაშავენი სრადიოდნენ — მათ მიერ დახოცილ ადამიანების გვამების სამრეწველო გამოყენებას. ამ. სმირნოვს მოჰყავს საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის შესახებ, რომელშიც ნათქვამია:

„1943 წლიდან გერმანელებმა დაუმწკარი ძვლების სამრეწველო გამოყენების მიზნით იწყეს მათი დაფქვა და „შტრემის“ ფირმისათვის მიყიდვა სუპერფოსფატად გადამუშავებისათვის. ბანაკში ნაპოვნია დოკუმენტები „შტრემის“ ფირმისათვის ადამიანთა 112 ტონა და 600 კილოგრამი ძვლის ფხვნილის გაგზავნის შესახებ. გერმანელები სამრეწველო მიზნებისათვის იყენებდნენ აგრეთვე მოსასპობად განკუთვნილი ქალებისათვის შეკრეჭილ თმებს“.

ტრიბუნალი საქმეს ურთავს საბჭოთა ბრალმდებლის მიერ წარმოდგენილ ფოტოგრაფიების ალბომს, რომლებიც ეხებიან საგანგებო სახელმწიფო კომისიის მიერ ოსვენციმში შეკრებილ ცნობებს. სურათებზე გადაღებულია საწყობები სასიკვდილოდ განწირული ქალებისათვის შეკრეჭილი თმებისა, ადამიანთა ძვლების დასაფხვნელი მანქანა, მოკლული მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების ნივთებისა და ტანსაცმლის საწყობები.

მარტო ოსვენციმის ბანაკის ტერიტორიაზე იყო 35 სპეციალური საწყობი გაჟლეტილ პატიმართა ნივთებისა და ტანსაცმლის დასახარისხებლად და შესაფუთავად. ოსვენციმიდან გაქცევისას სს-ელებმა დასწვეს 29 საწყობი. მარტო დარჩენილ 6 საწყობში აღმოჩენილ იქნა 348.820 კომპლექტი მამაკაცის ტანისამოსი, 836.255 კომპლექტი ქალის ტანისამოსი, დიდძალი ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმელი, პირადი მოხმარების ყოველგვარი ნივთი და ხალიჩებიც კი.

ბრალმდებლის მიერ მასალების შემდგომი წარდგენა გადატანილია საღამოს სხდომისათვის.

ინგლის-საფრანგეთის ეკონომიური ურთიერთობისათვის

პარიზი, 2 მარტი. (საკდესი). როგორც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, საფრანგეთის მთავრობას აკვირვებს, რომ ინგლისმა მოულოდნელად სთქვა უარი განეგრძო საფრანგეთ-ინგლისის საფინანსო შეთანხმების მოქმედება, რომელსაც ვადა გაუვიდა 28 თებერვალს. საფრანგეთის დაკალიანება, რაც ამ შეთანხმების მოქმედების დროს შეიქმნა, 40 მილიონ ფრანგჭა სტერლინგს შეადგენს. ეს დავალიანება საფრანგეთმა ახლა უნდა გადაიხადოს ოქროთი ან ვალუტით. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის სიტყვით, ინგლისმა, რომელიც ძნელ მდგომარეობაშია, გადასწყვიტა ვალუტა დახარჯოს მხოლოდ საარსებოდ საჭირო საქონლის შესაძენად. ამიტომ ინგლისის ხელისუფლებმა აკრძალეს ინგლისში ფრანგულ სურნელებათა, შამპანურის, კონიაკის, აგრეთვე ფუფუნების საგნების შეტანა, ე. ი. სწორედ ისისა, რაც საფრანგეთის ექსპორტის ერთადერთ დარგს შეადგენს. სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საფრანგეთ-ინგლისის საფინანსო შეთანხმების მოქმედების ვადის განგრძობაზე ინგლისის უართან, აგრეთვე ინგლისში ფრანგული საქონლის ექსპორტის შეწყვეტასთან დაკავშირებით უნდა მოველოდეთ საფრანგეთის შესყიდვათა შემცირებას სტერლინგის ბლოკის ქვეყნებში.

სოფულისის განცხადება

ათენი, 2 მარტი. (საკდესი). 1 მარტს საღამოს ეკონომისტებთან საუბრის დროს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ არჩევნები აუცილებლად მოხდება დანიშნულ დღეს, თუნდაც მემარცხენე პარტიებმა მონაწილეობა არ მიიღონ ამ არჩევნებში. პრემიერმა დასძინა, რომ მემარცხენე პარტიების გადაწყვეტილება — ბოიკოტი გამოუცხადონ არჩევნებს, მხოლოდ ხელს შეუწყობს მეფის დაბრუნებას, ვინაიდან თუ მათ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღეს, მონარქისტები უმრავლესობას მიიღებენ. მისი აზრით, არჩევნებში მემარცხენეთა მონაწილეობა შეამცირებდა მონარქისტების ტეროროს.

გაზეთი „მახი“ კომენტარს უკეთებს ამ განცხადებას და სწერს, რომ პრემიერმა ფაქტიურად აღიარა მომავალი არჩევნების სიყალბე და, არჩევნების ჩატარებას რომ მოითხოვს, იგი, და არა სხვა ვინმე, ეხმარება პაპანდრეუს, მონარქისტულ სამხედრო კავშირსა და ხტოსებს დააკანონონ თავიანთი ბატონობა.

როგორც გაზეთი „რიზოსპასტისი“ აღნიშნავს, პრემიერი აღიარებს, რომ არჩევნებში მხოლოდ მემარცხენე პარტიების მონაწილეობას შეუძლია იხსნას მდგომარეობა, მაგრამ ამასთან იგი არ ასრულებს ამ პარტიების მიერ წამოყენებულ არც ერთ პირობას. გაზეთი აღნიშნავს, რომ, როგორც თვითონ პრემიერი, ისე ყველა მისი მინისტრი აღიარებს, რომ დანიშნულ ვადაზე პატიოსანი არჩევნების ჩატარება შეუძლებელია, მაგრამ, ემორჩილებიან რა დიდი ბრიტანეთის ელჩს, ისინი დაჟინებით იცავენ დანიშნულ თარიღს.

როგორც ამასთან დაკავშირებით გაზეთი „კატიმერინი ნეა“ სწერს, ლიპერი იმიტომ მოითხოვს არჩევნების 31 მარტს ჩატარებას, რომ გაიოდის საგარეო-პოლიტიკური მოსაზრებებიდან და არა საბერძნეთში არსებული პირობებიდან.

ფრანკისტული ესპანეთი ფაშისტური სენის კერაა

პარიზი, 3 მარტი. (საკდესი). ფრანგული გაზეთები ესპანეთის საკითხისადმი მიძღვნილ სტატიებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ფრანკისტული ესპანეთი ფაშიზმის უკანასკნელი თავშესაფარია, რომელიც სასწრაფოდ და საბოლოოდ უნდა მოისპოს.

„ევროპაში დარჩა გადამდები სენის ერთი კერა — ფრანკო, — სწერს გაზეთი „ფრანტი-რერი“. — გასაკვირველი არაფერია, რომ იგი იზიდავს კატასტროფის შემდეგ გადარჩენილ ფაშისტებს. გასაკვირველი არაფერია, რომ სოლდაფონური რეჟიმის ეს ბურჯი, მიწის მესაკუთრეთა და ყველაზე რეაქციული სამღვდელოების ეს ფეოდალური სიმაგრე ყოფილი „ახალი წესრიგის“ უკანასკნელ ნაშთს წარმოადგენს. ესპანეთი საზოგადოების ნაძირალათა, ვიშიდან და გერმანიიდან გაქცეულ გამცემთა თავშესაფარი გახდა“.

ჟორჟ კონიო გაზეთ „ლუმანიტეში“ სწერს: „ფრანკოს არსებობა, როგორც ძალიან კარგად ამბობს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, იმის ცოცხალი დამამტკიცებელი საბუთია, რომ ფაშიზმის მოსპობა, რაც გაერთიანებული ერების ბრძოლის უდიდეს მიზანს წარმოადგენდა, ჯერ კიდევ არ არის მთლიანად განხორციელებული“.

გაზეთი „ფრონ ნასიონალი“, ეხება რა საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრის დახურვას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფრანკოს მომარაგება შესაძლებელია პორტუგალიის მეშვეობით.

წერილები. რომლებშიც გამოთქმულია მადლობა საბჭოთა დელეგაციისადმი გენერალური ასამბლეის პირველ სესიაზე

ბეირუთი, 28 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა მისიას ბეირუთში კვლავ მოსდის წერილები, რომლებშიც გამოთქმულია მადლობა საბჭოთა მთავრობისადმი, იმისთვის, და საბჭოთა დელეგაციისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველ სესიაზე, იმისათვის, რომ მათ მტკიცედ ნათელი პოზიცია დაიკავეს სესიაზე და მხარი დაუჭირეს სირიასა და ლიბანს უშიშროების საბჭოში. წერილებს გზავნიან როგორც ლიბანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრეები, ცალკეული წარმომადგენლები, ისე მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენების წარმომადგენელთა მთელი ჯგუფები. კერძოდ, ერთ ასეთ წერილს ხელს აწერს 101 კაცი.

ამავე დროს მოდის მილოცვის წერილები წოთელი არმიის 28 წლისთავის გამო.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის პროგესსი ესპანეთში 10 რესპუბლიკელის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ

პრაღა, 28 თებერვალი. (საკდესი). 26 თებერვალს ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ პროტესტი განუცხადა ფრანკოს მთავრობას ესპანეთში 10 რესპუბლიკელის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ აღნიშნა, რომ 10 რესპუბლიკელის სიკვდილით დასჯა ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის ცინიკური დანაშაულია. ჩეხოსლოვაკიის მთავრობა სავსებით იზიარებს დემოკრატიულ სახელმწიფოთა შეხედულებას, რომელნიც მოითხოვენ ევროპაში ფაშისტური ტირანიის უკანასკნელი ბურჯის მოსპობას. იგი მხარს უჭერს იმის მოთხოვნას, რომ ესპანეთის დიქტატორი და მისი თანამონაწილენი მიცემულ იქნან პასუხისგებაში გერმანული ნაციზმისა და იტალიური ფაშიზმის დანაშაულობებში თანამონაწილეობისათვის.

28 თებერვალს ჩეხოსლოვაკიის მრავალი ფაბრიკა-ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა ფრანკოს ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ხუთი წუთით შესწყვიტეს მუშაობა. მუშები მოითხოვენ ესპანეთში ფაშისტური რეჟიმის მოსპობას და ფრანკოს და მის თანამონაწილეთა, როგორც სამხედრო დამნაშავეთა, პასუხისგებაში მიცემას.

დაკპაჯიმრეს იაპონიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მასაიუკი ჯანი

ლონდონი, 3 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, ტოკიოში გამოაცხადეს, რომ გენერალ ტოძიოს კაბინეტის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მასაიუკი ტანი დანებდა მოკავშირეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრეების საბჭოს. წერილებს ხელს აწერენ ცალკეული წარმომადგენლები, ისე მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენების წარმომადგენელთა მთელი ჯგუფები. კერძოდ, ერთ ასეთ წერილს ხელს აწერს 101 კაცი.

ამავე დროს მოდის მილოცვის წერილები წოთელი არმიის 28 წლისთავის გამო.

ჰიტლერელების საქმიანობის შესახებ

ნიუ-იორკი, 28 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ინფორმაციის ბიუროს ირანის განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი შაჰშაჰანი სტატიაში „საბჭოთა რუსეთი დღეს“ ბრალსა სდებს ინგლისელებს მრავალ ცდაში ძირი გამოუთხარონ დემოკრატიულ ძალებს ირანში. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში,—სწერს შაჰშაჰანი,— ინგლისელებმა შეაიარაღეს ირანის სამხრეთელი ტომები იმისათვის, რათა მოამზადონ სახელმწიფო გადატრიალება, თუ გამოჩნდა იმის რაიმე ნიშანი, რომ სახალხო პარტია სხვა პარტიებთან კოალიციით გამარჯვებას მოიპოვებს არჩევნებში, რომელიც განზრახულია მოკავშირეთა ჯარების ევაკუაციის შემდეგ. 1941 წლის აგვისტოდან ინგლისელები ჰქმნიდნენ მთელ რიგ მოსყიდულ მთავრობებს, რომლებშიც სახალხო პარტიას ნაწილობრივი მონაწილეობის საშუალებაც კი არა ჰქონდა მიცემული.

სახალხო პარტია აცხადებს,—ნათქვამია სტატიაში,—რომ ეს ვერაგული გეგმა ხალხში ზიზღს ჰბადებს პარლამენტარი სისტემისადმი და აიძულებს მას ესწრაფოდეს „ძლიერი კაცის“ ხელისუფლებას. ინგლისის კოლონიურმა ხელისუფლებამ უკვე აირჩიეს ასეთი „ძლიერი კაცი“—რეაქციონერი სეიდ ზია-ედ-დინი, რომელიც მათ 20 წლის გადასახლების შემდეგ პირობით უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ძალიან ცოტანი ვართ, იმიტომ რომ 25 წლის განმავლობაში იტალიის ხელისუფალნი გვდევნიდნენ. კომისიამ იცის, რომ იტალიას არ შესწევს უნარი გადასწყვიტოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხი ქრისტიანული გაგებით, ვინაიდან იგი ისწრაფვის ძალდატანებით მოითვისოს სხვისი ტერიტორიები. ზღვისპირეთი ეკუთვნის იუგოსლავიას, რომელიც თავისი კონსტიტუციით უზრუნველჰყოფს იტალიელი უმცირესობისათვის ადმინისტრატიულ, კულტურულ და ეროვნულ უფლებებს.

ბანერჯიმის გადაგდგომა

ჰელსინკი, 4 მარტი. (საკდესი). დღეს მანერჰაიმმა ფინეთის მთავრობას გადასცა განცხადება იმის შესახებ, რომ იგი თავიდან იხსნის რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობას.

ჰელსინკი, 4 მარტი. (საკდესი). მანერჰაიმის გადადგომასთან დაკავშირებით ფინეთის მთავრობამ მომამზადა კანონპროექტი, რომლის თანახმად ახალი პრეზიდენტის არჩევნებს მოახდენს სეიმი. ახალი პრეზიდენტის რწმუნებათა ვადა დადგენილია 1950 წლის 1 მარტამდე.

ჩეხოსლოვაკიის დროებითი ეროვნული კრების გადაწყვეტილება

პრაღა, 1 მარტი. (საკდესი). 28 თებერვალს ჩეხოსლოვაკიის დროებითმა ეროვნულმა კრებამ მიიღო მთავრობის მიერ შეტანილი კონსტიტუციური კანონი პრეზიდენტის ყველა დეკრეტისა და იმ კანონების დამტკიცების შესახებ, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ მიიღო პრეზიდენტისა და მთავრობის ლონდონში ყოფნის დროს და შემდეგ 1945 წლის 27 ოქტომბრამდე, ე. ი. დროებითი ეროვნული კრების მოწვევამდე. ამრიგად, უმნიშვნელოვანესმა დეკრეტებმა, მათ შორის მრეწველობის, ბანკების და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ნაციონალიზაციის შესახებ, კონფისკაციამ, გამოცხადებულმა მთავრობის პროგრამამ და სხვ., კონსტიტუციური კანონის ძალა მიიღო. ეროვნული კრება მჭუხარე ტაშით მიესალმა ახალი კონსტიტუციური კანონის დამტკიცებას.

იუღიის კრაინის მღვდელმსახურნი მოითხოვენ, რომ მთელი იუღიის კრაინა და ზრიესკი იუგოსლავიას შეუერთდეს

ბელგრადი, 3 მარტი. (საკდესი). ბელგრადის რადიო გადმოგვცემს, რომ გაზეთმა „პრიმორსკა დნევნიკმა“ გამოაქვეყნა იუღიის კრაინის სლოვენ და ხორვატ მღვდელთა წერილი, მიმართული იტალია-იუგოსლავიის საზღვრის დამდგენი საერთაშორისო კომისიისადმი. წერილის ავტორები მოითხოვენ, რომ მთელი იუღიის კრაინა და ტრიესტი იუგოსლავიას შეუერთდეს.

—ჩვენ, ზღვისპირეთის სლოვენმა და ხორვატმა მღვდლებმა, —ნათქვამია წერილში,— იტალია-იუგოსლავიის საზღვრის დამდგენი საერთაშორისო კომისიის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ითხოვეთ ამონაწერები „ბელგრადსკი ბეიერი“, 6/III — „ამბავი ტარიელისა“. **რუსთაველის სახელობის** — 5/III — „ერთი ღამის კომედია“, 6/III — „ტირიფის ქვეშ“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 5/III — „დავთი ალმაშენებელი“, 6/III—„შესაფერი ჯილდო“. **გრიბოედოვის სახელობის** — 5, 6/III — „განათლების ნაყოფი“. **მუსიკალური კომედიის**—6/III — „მზის დაბნელება“. **სანკულტურის** — 5/III — „ნალეკი“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — 5/III — „ბაში აჩუკი“, 6/III — „სურამის ციხე“.

კინოებში

5 მარტს: **რუსთაველის სახელობის** და **ოქტომბერი** — „დიადი გარდატეხა“. **დამკვრელი** — „სილვა“. **კომკავშირელი** — „მდიდარი საცოლე“. **სპარტაკი** — „ნათელი გზა“. **ლუქსემბურგის სახელობის** — „არშინ მალ-ალან“. **26 კომისრის სახელობის** — „ერთ ღამეს“.

ახალი კომეგის და ახალი ვარსკვლავის დაკვირვება აბასთუმანში

აბასთუმნის ობსერვატორიაში სწარმოებს დაკვირვება ახალი კომეტისა, რომლის აღმოჩენა ობსერვატორიას აუწყ